პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
13 აგვისტო
1940 წ.
№ 186 (5887)
ფასი 10 კაპ

გამოვასწოროთ ჩამორჩენა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. პირველ სექტემბერს ყველა სკოლაში უნდა დაიწყოს სავსებით ნორმალური მეცადინეობა.

მიუხედავად ამისა, ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მთელი რიგი რაიონების სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დაყენებული ამოცანა—განხორციელება საყოველთაო-სავალდებულო ათწლიანი განათლებისა ქალაქად და შვიდწლიანი განათლებისა სოფლად — ჩვენი პარტიულ-კომკავშირული და საბჭოთა ორგანოებისაგან დიდ ენერგიასა და ყურადღებას მოითხოვს.

ამ ამოცანის განსახორციელებლად სახალხო განათლების ორგანოები ვალდებული იყვნენ ზუსტად აღერიცხათ სკოლის ასაკის ბავშვები, მიეღოთ ყოველგვარი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილთა სათანადო კლასებში ჩასაბმელად.

ეს ამოცანა ცუდად ხორციელდება. მაგალითად, წალკის რაიონის განათლების განყოფილებას მხოლოდ ციფრები მოეპოვება და არ იცის სად, რომელ სოფელში რამდენი ბავშვია სკოლაში მისაღები, რას უდრის განთესილთა რაოდენობა და სხვ. თვით ქალაქ თბილისშიც არ არის მოგვარებული სკოლიდან განთესილ ბავშვთა აღრიცხვა. ამ მხრივ ძალიან მოიკოჭლებენ ლენინის და მოლოტოვის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებანი.

ყარაიის რაიონში სკოლის ასაკის 872 ბავშვიდან 30 ივლისისათვის არცერთის დოკუმენტი არ იყო სკოლების მიერ გაფორმებული. ეს საქმე ცუდად არის დაყენებული თელავისა და ზუგდიდის რაიონებშიც, ხოლო თბილისში 6618-დან 30 ივლისისათვის მხოლოდ 1632-ის დოკუმენტი იყო გაფორმებული.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკომპლექტებას. მაგრამ ამ მხრივაც სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ქართულ სკოლებს აკლიათ 279 მასწავლებელი, აზერბაიჯანულს—175, სომხურს — 106, რუსულ სკოლებს —107 მასწავლებელი. ეს იმიტომ, რომ განსახკომმა სათანადოდ არ იზრუნა მასწავლებლებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სკოლების მშენებლობა, ძველი სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი. ახალი სკოლების მშენებლობა ჩაშლამდეა მისული ზუგდიდის, ვანის, გეგეჭკორის, ტყიბულის და მაიაკოვსკის რაიონებში. თბილისის ლოტკინის ქუჩაზე სკოლის შენობის ტექნიკური მზადყოფნა 30 ივლისისათვის 27,4 პროცენტს უდრიდა, ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე — 42,3-ს, სტალინირის სკოლისა — 54-ს, დუშეთისა — 51-ს, ხოლო ბათუმის სკოლისა — 36 პროცენტს. კიდევ უფრო ჩამორჩენილია სოფლის სკოლების მშენებლობა.

სასკოლო მშენებლობის ასე მკვეთრად ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ სახალხო განათლების ორგანოები, მშენებელი ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მშენებლობათა საშენი მასალით, ტრანსპორტით მომარაგებისა და მუშა-ხელით უზრუნველყოფისათვის.

სანახევროდაც არ არის შესრულებული სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა. 81 სახელწოდების სახელმძღვანელოს ნაცვლად გამოცემულია მხოლოდ 31, დანარჩენი სახელმძღვანელოების გამოცემა კი შეფერხებულია.

სახელგამის მეორე სტამბაში დაბეჭდილი ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს მთელი ტირაჟის თითქმის 50 პროცენტი უყურადღებობით და მოუვლელობით გაფუჭდა, პირველი კლასის სახელმძღვანელოში რამდენიმე სურათი უვარგისი აღმოჩნდა. ეს გარემოება სერიოზული სიგნალია იმისა, რომ სახელგამში ნაკლები ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ჯერჯერობით ძალიან ცუდად სრულდება ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმაც. სახელგამმა მიცემული დავალება 70 პროცენტით შესრულა, ცეკავშირმა კი, რომელსაც საკმაოდ ფართო ქსელი აქვს, — მხოლოდ 53 პროცენტით. ცეკავშირის ადგილობრივი ქსელი ზოგჯერ უყურადღებოდ ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მაგალითად, ჩოხატაურის რაიკოოპკავშირმა სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ დირექტივა 9 მაისს მიიღო, ეს საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე 17 მაისს განიხილა, სავაჭრო ქსელს კი თავის მხრივ დირექტივა მხოლოდ მაშინ მისცა, როცა არდადეგები უკვე დაწყებული იყო და მოსწავლეებიც წასული იყვნენ დასასვენებლად. დაახლოებით ასევე მოიქცნენ ბოლნისში, ზესტაფონში, ქიათურაში, მახარაძეში, ცაგერსა და ზემო-სვანეთში.

ეს მდგომარეობა დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს. მთავრობის დავალება სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ გადაჭარბებით უნდა შესრულდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლების დროულად მომარაგებას კაბინეტ-ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებით. სამისოდ ბიუჯეტში საკმაო თანხებია გათვალისწინებული. მაგრამ სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება (ზუგდიდის, თელავის და სხვ.) თავს არ იწუხებს სახელგამთან ხელშეკრულების გაფორმებისა და კუთვნილი თანხის გადარიცხვისათვის.

სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით სახელგამის, ცეკავშირისა და სავაჭრო ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ორგანიზებულად გაშალონ სასწავლო ნივთებით ვაჭრობა, მიაღწიონ იმას, რომ სავაჭრო ქსელში საკმაოდ მოიპოვებოდეს რვეულების, ფანქრების, ცარცის, საწიგნე ჩანთების და სხვა სასწავლო ნივთების მრავალფეროვანი და საჭირო ასორტიმენტი.

სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების ამოცანაა ყოველმხრივ მომზადებულად შეახვედრონ მოსწავლეები საშემოდგომო გამოცდებს, შეუქმნან მათ საუკეთესო პირობები იმ საგნების მომზადებისათვის, რომლებშიც საგაზაფხულო გამოცდების დროს ცუდი შეფასება მიიღეს.

დროულად მივაწოდოთ სკოლებს სასწავლო გეგმები და პროგრამები, საკლასო ჟურნალები და დოკუმენტები, აქედანვე მოვამარაგოთ სკოლები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში საკმარისი შეშითა და სათბობი მასალით, გამოვასწოროთ უკლებლივ ყველა, ერთი შეხედვით, თუნდაც წვრილმანი ნაკლოვანებანი, აღმოვფხვრათ ჩამორჩენა, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პირველ სექტემბერს — ასეთია ახლა პარტიულ - კომკავშირული, საბჭოთა და სახალხო განათლბის ორგანოების საბრძოლო ამოცანა.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 10 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	აგვისტოში მოიკრიფა ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	1.865	1.255,7	101,5	67,3	22,9
ქობულეთი	8.556	5.485,4	443,1	64,1	22
გალი	4.017	2.543,6	172,8	63,3	18,1
ოჩამჩირე	2.344	1.478,3	89,8	63,1	16,1
სოხუმი	50	26,2	1,5	52,4	11,5
გუდაუთი	70	63,7	5,7	91	31,7
მახარაძე	11.174	7.311,5	532,7	65,4	19,9
ჩოხატაური	1.475	996,7	75,3	67,6	21,2
ლანჩხუთი	3.660	2.386	166	65,2	18,9
სამტრედია	330	198,8	15,7	60,2	20,1
წულუკიძე	1.755	1.178,2	55,5	67,1	13,3
ქუთაისი	190	159,2	11,4	83,8	25,3
წყალტუბო	430	282,8	14,2	65,8	13,9
ტყიბული	620	498,7	44,7	80,4	30,2
ცხაკაია	1.230	788,8	51,3	64,1	17,4
გეგეჭკორი	3.037	1.926,3	124,2	63,4	17
ზუგდიდი	5.908	4.374,6	336,9	74	24,1
წალენჯიხა	2.072	1.224	68,5	59,1	14
ჩხოროწყუ	1.820	1.103,3	59,6	60,6	13,8
ხობი	511	323,5	17,8	63,3	15,2
სულ რესპუბლიკაში	**51.114**	**33.305,3**	**2.389,1**	**65,2**	**19,6**
იყო 1939 წლის 10 აგვისტოს	43.100	31.001,2	2.426,9	71,9	23,3

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში დამზადდა 626,7 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში კი — 1.762,4 ტონა.

10 აგვისტოსათვის დამზადებული ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 67,8 პროცენტი, მეორე ხარისხისა — 10,1 პროცენტი, მესამისა კი — 22,1 პროცენტი.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულია და ა. წ. 7 აგვისტოს ძალაში შევიდა წერილების გაცვლა-გამოცვლა, რომელიც მოხდა 1940 წლის 6 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარ ამხ. ა. ი. მიქოიანსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველი საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ვალტერ ტორსტონს შორის და რომელიც შეეხება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოქმედი სავაჭრო შეთანხმების განგრძობას ერთი წლით — 1941 წლის 6 აგვისტომდე. (საკდესი).

ავიაციის სრულიად-საკავშირო დღის წინ

მოსკოვი, 10 აგვისტო (საკდესი). მთელი საბჭოთა ქვეყანა ემზადება ავიაციის დღისათვის—ტრადიციული სახალხო დღესასწაულისათვის.

აეროდრომებზე განუწყვეტლივ გუგუნებენ მოტორები. სამხედრო და თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის მფრინავები ჰაერში დააქროლებენ თავიანთ მანქანებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებში, ვარჯიშობენ იმ მხრივ, რომ სწორად წაიყვანონ თვითმფრინავები მწყობრში. 18 აგვისტოს ისინი გასული წლის მიღწევებში ანგარიშს ჩააბარებენ თავის ქვეყანასა და ხალხს.

საინტერესო იქნება საჰაერო დღესასწაული ბევრ ქალაქსა და სოფელში. 18 აგვისტოს ათასობით ლენინგრადელი შეიკრიბება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის აეროდრომზე შოსეინაიას სადგურთან. ლენინგრადის სამხედრო ოლქის წითელდროშოვანი ბალტიკის, სამოქალაქო ავიაციისა და თავდაცვა-ავიაქიმის მფრინავები ამ დღის გვიჩვენებენ თავიანთ საბრძოლო ტექნიკასა და საფრენოსნო ოსტატობას.

პეტერგოფში გაიმართება დიდი საავიაციო დღესასწაული წითელდროშოვანი ბალტიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა მონაწილეობით.

ავიაციის მუშაკები თავისი დღესასწაულისათვის საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ. ნოვოსიბირსკის აეროპორტის ავიატექნიკოსი სტახანოველები ამხ. ორეხოვი და ფიშერი სამჯერ მეტი სისწრაფით სცვლიან თვითმფრინავის მოტორებს, ვიდრე ეს ნორმით არის გათვალისწინებული.

პოლტავის აეროკლუბმა ავიაციის დღისათვის გამოუშვა პილოტთა ჯგუფი, რომლებმაც წარმოებაზე მოუწყვეტლივ დაამთავრეს კურსები. თვითეულმა მათგანმა უკვე ჩაატარა თითო გადმოხტომა პარაშუტით.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში — ყველგან ტარდება საუბრები და ლექციები ავიაციის დღის შესახებ. საქალაქო და საგარეუბნო პარკებში ეწყობა სახალხო სეირნობა.

ავიაციის დღესასწაულისათვის მზადება ფართოდ გაიშალა დედაქალაქის საწარმოებში, ბაღებსა და პარკებში.

ავიაციის დღისათვის სტალინის რაიონის აეროკლუბმა მოამზადა მფრინავთა ჯგუფი, რომლებმაც გამოცდები „კარგზე“ და „ფრიადზე“ ჩააბარეს. 17 აგვისტოს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესდგება რაიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საზეიმო სხდომა, 18 აგვისტოს — მასობრივი სეირნობა.

საბჭოთა ლატვიაში

საწარმოო აღტყინება ლეპაიას საწარმოებში

რიგა, 10 აგვისტო (საკდესი). ლეპაიაში (ლიბავა) შესდგა პარტიულ უჯრედთა ბიუროს თათბირი. თუმცა ცოტა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც საწარმოებში პარტიულმა უჯრედებმა მუშაობა ახლებურად იწყეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა უკვე დააგროვა ერთგვარი გამოცდილება და სერიოზულ წარმატებებს მიაღწია შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

თათბირზე აღნიშნულ იქნა განსაკუთრებული პოლიტიკური აღტყინება ქალაქ ლეპაიას მშრომელთა შორის. ამ აღტყინებამ თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა მუშათა შესანიშნავ საწარმოო გამარჯვებაში, მუშათა, რომლებმაც პირველად შეიცნეს განთავისუფლებული შრომის სიხარული — შრომისა არა ექსპლუატატორ კაპიტალისტებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის.

ტოსმარეს ქარხნის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სამქროს დამკვრელებმა შრომის ნაყოფიერება ერთი ორად გაადიდეს. 10 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება რკინიგზის სახელოსნოების ვაგონების სარემონტო სამქრომ, 20 პროცენტით — მავთულის ფაბრიკის ზოგიერთმა სამქრომ. დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს ლიბავის ნავსადგურის მუშებმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ენერგიულად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, რაც ახლა, როდესაც ქარხნები და ფაბრიკები ხალხის კუთვნილება გახდა, ღირსებისა და სიმამაცის საქმედ გადაიქცა.

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხთა წარმომადგენლების, ლიტვისა და ლატვიის სეიმების და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიების მიღება კრემლში

10 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში მოხდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხთა წარმომადგენლების, ლიტვისა და ლატვიის სეიმებისა და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიების მიღება.

საღამოს 8 საათისათვის გეორგის დარბაზი სტუმრებით იყო გაჭედილი. აქ შეიკრიბნენ ბესარაბიის, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოძმე ხალხთა დელეგაციები, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრები და საბჭოთა კავშირის მთავრობა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები, მწერლები, მეცნიერნი.

დამსწრეთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის მარშლები ამხ. კულიკი და შაპოშნიკოვი, ამხ. შკირიატოვი, პოსკრებიშევი, ბულგანინი, ვიშინსკი, ვოზნესენსკი, პერვუხინი, მალიშევი, კოსიგინი, დიმიტროვი, მანუილსკი, იაროსლავსკი, შჩერბაკოვი, მიტინი, ბადაევი, გორკინი, ხოხლოვი, პოსპელოვი, ზვერევი, ვანიკოვი, შახურინი, თევოსიანი, პერესიპკინი, ვახრუშევი, ლოზოვსკი, პოპოვი, პრონინი, ჩერნოუსოვი, დეკანოზოვი, ბოჩკოვი, საბჭოთა კავშირის გმირები: ლევჩენკო, გრომოვი, შმიდტი, შირშოვი, ფედოროვი, კრენკელი, რასკოვა, კამანინი და სხვ.

დამსწრენი განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგების **ი. ბ. სტალინის, ვ. მ. მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილოვის, მ. ი. კალინინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ა. ანდრეევის, ა. ა. ჟდანოვის, ა. ი. მიქოიანის, ლ. პ. ბერიას, ნ. მ. შვერნიკის, გ. მ. მალენკოვის, ს. კ. ტიმოშენკოს** გამოჩენას დარბაზში. აღტაცებული ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება. ლიტვურ, ლატვიურ, ესტონურ, მოლდავურ, უკრაინულ, რუსულ ენებზე, ერთი მეორეზე ხმამაღლა გაისმის მისალმებანი დიდი **სტალინის** და მისი თანამებრძოლების — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პატივსაცემად.

— ვაშა ამხანაგ სტალინს!

— მრავალი წლის სიცოცხლე ჩვენს მშობლიურ საყვარელ სტალინს!

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად ეგებებიან სტუმრებს, მიესალმებიან ლიტვისა და ლატვიის სეიმების და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიების წევრებს და ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა წარმომადგენლებს.

როცა ოვაციების გრიალი დაცხრა, ამხ. მოლოტოვი დამსწრეთ შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

— ჩვენს წრეში,—ამბობს იგი,— იმყოფებიან საბჭოთა მოლდავეთისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა დელეგაციები, ლიტვისა და ლატვიის სეიმების და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიები. მე მსურს მივმართო ყველა ჩვენს სტუმარს— ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს—და დალიოთ ჩვენი მეგობრების — მოლდაველთ, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხთა წარმომადგენლების სადღეგრძელო.

ამ სიტყვების პასუხად გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან და მეგობრულად მიესალმებიან ძვირფას სტუმრებს.

— საბჭოთა ხალხების ოჯახი,— ამბობს შემდეგ ამხ. მოლოტოვი,— გაიზარდა. დავიწყებ ჩრდილოეთიდან. მივესალმები ესტონელი ხალხის დელეგაციას, რომელიც ჩამოვიდა მოსკოვს და მონაწილეობას იღებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში. ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებისათვის სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ!

ხანგრძლივი ოვაციით უპასუხებენ დამსწრენი ამხანაგ მოლოტოვის სიტყვებს. გაისმის მრავალჯერადი „ვაშა“ და მისასალმებელი შეძახილები ესტონელი ხალხის პატივსაცემად, დიდი საბჭოთა კავშირის ახალი წევრის—ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პატივსაცემად.

ამხანაგი მოლოტოვი წარმოსთქვამს საბჭოთა სოციალისტური ლატვიის სადღეგრძელოს, საბჭოთა ლატვიის ხალხთან სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის სადღეგრძელოს. კვლავ ჰქუხს ტაში. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და მხურვალედ მიესალმება ლატვიელი ხალხის სახელოვან წარმომადგენლებს.

— ლიტვის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის დახმარებით, — ამბობს შემდგომ ამხანაგი მოლოტოვი, — უკანასკნელ წელს გადიდდა თავისი ტერიტორიით, ამჟამად ის კიდევ უფრო გადიდდება. მაგრამ ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი ძალა იმაშია, რომ იგი ჩვენი დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაწილია. ვუსურვოთ ლიტველ მეგობრებსა და ძმებს წარმატებანი და შემდგომი ზრდა და გაფურჩქვნა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ლიტვის ხალხის დელეგაციის დღეგრძელობისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებისათვის!

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამ სიტყვებს სტუმრები მქუხარე ოვაციით ხვდებიან. ყველა ფეხზე ამდგარი მიესალმება ლიტვის ხალხს მისი ღირსეული წარმომადგენლების — სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრების სახით.

გულთბილი, გულითადი სიტყვებით მიესალმა ამხანაგი მოლოტოვი მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს:

— მე მივესალმები მოლდავეთის მშრომელებს ისე, როგორც ისინი მიესალმნენ თავის განმათავისუფლებელ წითელ არმიას, და ვუსურვებ მათ მიაღწიონ ისეთსავე წარმატებებს, როგორსაც მიაღწია ჩვენმა წითელმა არმიამ, როგორსაც მიაღწია ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. გაუმარჯოს მოლდავეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მისი ხალხის დელეგატებს!

ყველა დამსწრე მხურვალედ მიესალმება მოლდავეთის ხალხის დელეგაციას. გუგუნებს მძლავრი „ვაშა“. ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელებისადმი მიძღვნილ ამხ. მოლოტოვის მისასალმებელ სიტყვებს. როდესაც მოლოტოვმა განაცხადა: გაუმარჯოს ჩრდილოეთ ბუკოვინას, რომელიც შეუერთდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!—დარბაზში კვლავ გუგუნებს „ვაშა“ და დამსწრენი გულთბილ სალამს უძღვნიან ჩრდილოეთ ბუკოვინის დელეგატებს.

ყველა დამსწრე განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა ამხ. მოლოტოვს, როცა მან დიდი საბჭოთა კავშირის, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი სამშობლოს მიერ მიღწეული წარმატებების, ჩვენი წარმატებების დროშის ამხანაგ **სტალინის** სადღეგრძელო გამოაცხადა.

ყველა დამსწრე, ერთი გრძნობით გატაცებული, ფეხზე დგება. მქუხარე ტაში, შეძახილები „ვაშა“, მისასალმებელი შეძახილები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ყველა მშრომელთა ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. ეს იყო დაუვიწყარი, ამაღელვებელი დემონსტრაცია, რომელიც გამოხატავდა მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი მთელი საბჭოთა კავშირის აზრებსა და გრძნობებს. ოვაცია რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, მოლდაველები, უკრაინელები, რუსები თავის მშობლიურ ენაზე გულითად სალამს უძღვნიდნენ და სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავდნენ დიდი **სტალინისადმი**.

როდესაც დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, ამხანაგმა ვოროშილოვმა ადღეგრძელა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოქალაქე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი**.

დამსწრენი მხურვალედ მიესალმნენ ამხანაგ კალინინს.

ამხანაგმა ვოროშილოვმა ადღეგრძელა ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი**.

ამხანაგ მოლოტოვის სახელის ხსენებამ კვლავ გამოიწვია დარბაზში მძლავრი ოვაცია. გუგუნებს „ვაშა“. დარბაზის ყოველი მხრიდან მოისმის მისასალმებელი შეძახილები დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის საყვარელი ხელმძღვანელის პატივსაცემად.

ამხანაგი მოლოტოვი სიტყვას აძლევს ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობათა აღმსრულებელს, პრემიერ - მინისტრს ამხ. პალეცკისს. მას მეგობრული ოვაციით ხვდებიან. ყველა ფეხზე დგება. გაისმის მისასალმებელი შეძახილები განთავისუფლებული ლიტველი ხალხის პატივსაცემად.

— ამ ღირსსახსოვარ დღეებში,— ამბობს ამხ. პალეცკისი, — როდესაც ჩვენ ვიმყოფებით მოსკოვში— საბჭოთა კავშირის ცენტრსა და გულში — განსაკუთრებით ამხანაგ **სტალინთან** და **მოლოტოვთან** დაუვიწყარი შეხვედრების შემდეგ, ჩვენ უფრო ნათლად შევიგნეთ ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები, ლიტველი ხალხის ცხოვრების გარდაქმნის დარგში **ლენინ-სტალინის** დროშით. დიდი **სტალინის** მითითებანი — აი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებსაც ჩვენ გავატარებთ მთელს ჩვენს მუშაობაში.

ლიტვის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრთა შემადგენლობაში პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები არიან. ჩვენ ყველანი სიტყვას ვიძლევით, რომ დაუღალავად ვიმუშავებთ ხალხის საკეთილდღეოდ, თავდადებულად ვიბრძოლებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, ლიტველი ხალხის ბედნიერებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის. ჩვენ ყველანი მხურვალე მადლობას ვუძღვნით ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ყურადღებისა და გულხმიერებისათვის ლიტველი ხალხისადმი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დახმარებით თავისი მრავალი ხნის ოცნება და იმედები განახორციელა. მთელ ძალას ვიხმართ, რათა გავამართლოთ ხალხის ნდობა. ეჭვი არ გვებადება, რომ ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ლიტველი ხალხი უმაგალითო აყვავებას მიაღწევს.

— ამხანაგ **სტალინის** სადღეგრძელო იყოს!

ყველა დამსწრე აღტაცებული ოვაციით ეხმაურება ამ სიტყვებს. რუსული „ურა“ უერთდება ლიტველთა „ვალეს“. კვლავ სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გაისმის გულიდან ამოხეთქილი მისალმებანი და ლოზუნგები ხალხთა დიდი განმათავისუფლებლის—ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

დიდი გულთბილობით ხვდებიან დამსწრენი ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ - მინისტრისა და პრეზიდენტის მოვალეობათა აღმსრულებლის ამხ. ვარესის სიტყვას.

— ძვირფასო ამხანაგებო,—ამბობს ამხ. ვარესი, — ჩვენ დაუვიწყარ ისტორიულ დღეებში ვცხოვრობთ, იმ დღეებში, როცა იბადება ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამით ჩვენ ვუჩვენებთ მთელს მსოფლიოს საბჭოთა ხელისუფლების **ლენინურ-სტალინური** იდეების უძლეველობას. ხალხთა სტალინური მეგობრობა ყველაზე უკეთესი, ყველაზე დამაჯერებელი და დამამტკიცებელი საბუთია ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობისა. იმ პირობებში, როცა იქ, დასავლეთში, სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომია გაჩაღებული. ბალტიისპირა ხალხები ომის საშინელებათა გარეშე დარჩნენ. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის ბრძნულ პოლიტიკას, უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ **სტალინს**. განთავისუფლებული ესტონელი ხალხის სახელით უღრმეს მადლობას ვუცხადებ დიად საბჭოთა კავშირს, საბჭოთა მთავრობას ამხანაგ **მოლოტოვის** მეთაურობით, ყველა ხალხთა ბრძენ მამას, კაცობრიობის გენიალურ ბელადს— ამხანაგ **სტალინს**. ამხანაგ **სტალინის** სადღეგრძელო იყოს!

ამხ. ვარესის უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ტაში და „ვაშას“ ძახილი ჰფარავს.

სიტყვა ეძლევა ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობათა აღმსრულებელს პრემიერ-მინისტრს ამხ. კირხენშტეინს. მას ხვდებიან მქუხარე ტაშითა და მისალმების შეძახილებით ლატვიის ხალხის პატივსაცემად, იმ ხალხისა, რომელმაც კაპიტალისტური მონობის ხუნდები მოიშორა და სოციალიზმის წითელი დროშის ქვეშ დადგა. ყველანი ფეხზე დგებიან. დამსწრენი შეუსუსტებელი ყურადღებით ისმენენ ამხ. კირხენშტეინსის ამაღლევებელ სიტყვას.

ლატვიის ხალხის სახელით ამხ. კირხენშტეინმა მგზნებარე სალამი და დიდი მადლობა გადასცა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს — ამხანაგ **მოლოტოვს**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლატვიელმა ხალხმა წარმატებით იწყო იმ ამოცანების გადაჭრა, რომ კაპიტალისტური ლატვია გარდაიქმნას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. იმ პლუტოკრატიული ხროვის ნაშთებს, რომელიც 20 წლის განმავლობაში განაგებდა ლატვიას და სძარცვავდა ლატვიელ ხალხს, იმის იმედი ჰქონდათ, რომ მშრომელები ამ ამოცანას თავს ვერ გაართმევდნენ. ეს იმედი ამაო გამოდგა. ლატვიელი ხალხი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა ოჯახში შევიდა, უძლეველია.

ამხ. კირხენშტეინსი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით უზიარებს დამსწრეთ საბჭოთა ლატვიიდან მიღებულ ცნობებს: ქარხნებსა და ფაბრიკებში, სოფლად, თავისი პოლიტიკური ძალით უმაგალითო, განსაკუთრებული პოლიტიკური და საწარმოო აღტყინება სუფევს. მშრომელები ენტუზიაზმით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ.

— ჩვენ, — ამბობს ამხ. კირხენშტეინსი, — შემოგვყურებს მთელი მსოფლიო, შემოგვყურებს ყველა ხალხი, ჩვენ მათთვის გავხდებით იმის მაგალითის მიმცემი, თუ როგორ უნდა ახალი, ბედნიერი ცხოვრების შენება.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კირხენშტეინსი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**, ამხანაგებს **ვოროშილოვსა** და **კალინინს**, იმას, ვის სახელსაც ლატვიელი ხალხი უდიდესი სიყვარულით წარმოსთქვამს, — დიდ **სტალინს**. ამას ეხმაურება ყველა დამსწრე, და მძლავრი „ვაშა“ კვლავ გრიალებს გეორგის დარბაზის უზარმაზარ თაღებქვეშ.

სიტყვა ეძლევა განთავისუფლებული მოლდაველი ხალხის წარმომადგენელ ქალს ამხ. კრეჩუნესკუს. მან თავისი მოკლე მკაფიო სიტყვით შესანიშნავად გადმოგვცა ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსეა მამაცი წითელი არმიის მიერ რუმინელ ოკუპანტთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ბესარაბიის მშრომელთა გული.

ამხ. კრეჩუნესკუ ამბობს:

— დღეს მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ისე როგორც ბედნიერია მთელი ჩვენი მოლდაველი ხალხი. მძიმე კოშმარული ცხოვრება წარსულს ჩაბარდა. ის შეხვედრა, რაც ჩვენ აქ, მოსკოვში მოგვიწყვეს, ის მაღალი ნდობა, რაც ჩვენდამი გამოიჩინეს, — ჩვენთვის გზის მაჩვენებელი ჩაუქრობელი ვარსკვლავი იქნება. ჩვენ პირობას ვიძლევით ვიმუშაოთ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ისე, რომ უფრო ბრწყინვალედ გაიფურჩქნოს ჩვენი მშობლიური მოლდავეთი. მადლობა წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს — ამხანაგებს **ვოროშილოვსა** და **ტიმოშენკოს!** მადლობა საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ამხანაგ **მოლოტოვს!** მადლობა ხალხთა დიდ ბელადს — ამხანაგ **სტალინს!**

ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა სახელით გამოდის ამხ. მიხალჩუკი. იგი სიტყვას მშობლიურ, უკრაინულ ენაზე ამბობს.

— ჩვენ, — ამბობს ამხ. მიხალჩუკი, — სულითა და გულით მადლობას ვწირავთ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს მშობლიურ მამას ამხანაგ **სტალინს**. დიდ ხანს გვტანჯავდა რუმინელი ბატონების უღელი. მაგრამ ახლა ყოველივე ეს უკან მოვიტოვეთ. თვალზე ცრემლი შეგვაშრა, ჩვენს საკუთარ, მშობლიურ ოჯახში ვართ.

ამთავრებს რა თავის მოკლე სიტყვას, ამხ. მიხალჩუკი ამბობს:

— გაუმარჯოს ჩვენს მამასა და განმათავისუფლებელს ამხანაგ **სტალინს!**

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მიღების ყველა დამსწრე გულითადად მიესალმებიან ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის წარმომადგენლებს.

მიღების დროს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვიოლინისტთა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა დ. ოისტრახმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. დ. კრუგლიკოვამ, ბალეტის სოლისტებმა რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ტ. სემიონოვამ და ვ. დ. გოლუბინმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. ს. კოზლოვსკიმ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ვ. ბარსოვამ, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ვ. ობრაზცოვმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. დ. მიხაილოვმა, პიატნიცკის სახელობის რუსულმა სახელმწიფო სახალხო გუნდმა და სხვებმა. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წარმოებაში წვრილმანი ქურდობისა და ხულიგნობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

1. დაწესდეს, რომ ეგრედწოდებული „წვრილმანი ქურდობა“ მისი ოდენობის მიუხედავად, რაც ჩადენილია საწარმოში ან დაწესებულებაში — დაისჯება საპატიმროში მოთავსებით ერთი წლის ვადით, უკეთუ იგი თავისი ხასიათის მიხედვით არ იწვევს კანონით გათვალისწინებულ უფრო მძიმე სასჯელს.

2. დაწესდეს, რომ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი ხულიგნური მოქმედება დაისჯება საპატიმროში მოთავსებით ერთი წლის ვადით, უკეთუ ეს მოქმედება თავისი ხასიათის მიხედვით არ იწვევს კანონით გათვალისწინებულ უფრო მძიმე სასჯელს.

3. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეიტანონ სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებანი, ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამუშაოს გაცდენისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლის შესახებ აღძრული საქმეების სახალხო სასამართლოების მიერ სახალხო მსაჯულთა დაუსწრებლად განხილვის თაობაზე

დაწესდეს, რომ საპატიო მიზეზების უქონლად სამუშაოს გაცდენისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლის შესახებ აღძრულ საქმეებს სახალხო მოსამართლეები განიხილავენ ერთპიროვნულად, სახალხო მსაჯულთა დაუსწრებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 10 აგვისტო.

ლექციების ციკლი პარტაქტივისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება თბილისის პარტაქტივისათვის აწყობს ლექციების ციკლს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

პირველ ლექციას (ციკლიდან) რუსულ ენაზე წაიკითხავს ამხ. ი. თავაძე. ლექციის თემა: „დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა“. ლექცია შესდგება 14 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 33/35).

ლექციაზე შესვლა მისაწვევი ბილეთებით.

ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტაქტივის კრება

10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტის“ კლუბში შედგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელიც გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. პ. მჭედლიძემ.

პარტიული აქტივის კრების დღის წესრიგში იყო საკითხი: ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. დ. ყიფშიძე და ლენინის სახელობის სატრანსპორტო ინსტიტუტის უფროსი ამხ. შ ქიქინაძე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის და ლენინის სახელობის სატრანსპორტო ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული. ორივე უმაღლეს სასწავლებელს აქვს ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დამტკიცებული კალენდარული გეგმა, მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთათვის ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მოწყობილია კონსულტაციები, ცნობათა ოთახები და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ნორმალურად მიმდინარეობს. გამოცდებში, როგორც სარკეში, ნათლად სჩანს ის გარემოება, რომ ჩვენმა საშუალო სკოლებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისაღები გამოცდები ადასტურებს იმასაც, რომ საშუალო სკოლებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება აქვთ. ცხადია, ეს მარტო საშუალო სკოლების მუშაობის სისუსტეს როდი მიეწერება, როგორც ეს ამხ. დ. ყიფშიძემ აღნიშნა თავის მოხსენებაში, არამედ უმაღლესი სასწავლებლების მუშაობასაც, რადგანაც უმაღლესი სასწავლებლებიდან იგზავნებიან საშუალო სკოლების მასწავლებლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებთა შორის არიან ჩვენი მოძმე რესპუბლიკებიდან (უკრაინიდან, ბელორუსიიდან და სხვ). ამხანაგები, რომელთაც სურთ მიიღონ უმაღლესი განათლება ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აგრეთვე გამოირკვა ისიც, რომ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტს, ისე სატრანსპორტო ინსტიტუტს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებები: ფაკულტეტების მიხედვით სასწავლო გეგმების შედგენა (სატრანსპორტო ინსტიტუტი) ნელი ტემპით მიმდინარეობს. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ ყველა დეკანს ჰქონდეს პროფესორის ხარისხი, არ არის შესრულებული. მოუგვარებელია სასწავლო ლიტერატურით პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა უზრუნველყოფის საქმე.

მოხსენებათა გარშემო დაიწყო კამათი. პირველად სიტყვით გამოვიდა პროფ. ნ. კეცხოველი (საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ თუ როგორ ემზადება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია ახალი სასწავლო წლისათვის და განსაკუთრებით შეჩერდა სახელმძღვანელოების საკითხზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო ძალები მუშაობენ სახელმძღვანელოების შედგენაზე, მაგრამ სახელგამი და გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ მათ გამოცემას რატომღაც აჭიანურებენ. ასე, მაგალითად, ორი წლის წინათ ინსტიტუტის მიერ სახელგამზე გადაცემული სახელმძღვანელოები დღესაც არ არის გამოცემული.

კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: შ. ქინქლაძემ (თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი), დიხამინჯიამ (საქ. ზოოვეტინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი), კ. ვაშაკიძემ (სტუდენტთა ქალაქის დირექტორი), პროფ. ქუთათელაძემ (ფარმაცევტიული ინსტიტუტის დირექტორი) და ლ. კასრაშვილმა (თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პარტრაიკომის მდივანი).

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე სატრანსპორტო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მოისუსტებს, განსაკუთრებით სატრანსპორტო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციისა, რომელსაც არც ერთხელ არ მოუსმენია საკითხი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

მოკამათეებმა აღნიშნეს ისიც, რომ საზამთროდ საწვავი მასალის დროზე მოგვარებისათვის ზრუნვა მოისუსტებს, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე სატრანსპორტო ინსტიტუტში.

დასასრულ პარტიულ აქტივზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. პ. მჭედლიძე.

პარტიული აქტივის კრებამ მოხსენებათა გარშემო მიიღო სათანადო რეზოლუცია.

საბჭოთა ფეხბურთელები ბულგარეთში

სოფია, 11 აგვისტო (საკდესი). დღეს „იუნაკის“ სტადიონზე მოხდება საბჭოთა ფეხბურთელების პირველი შეხვედრა ბულგარელ ფეხბურთელებთან. „სპარტაკის“ გუნდი ეთამაშება კლუბ „სლავიის“ გუნდს. გუშინ, დღისით, საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩაატარეს მატჩის წინ უკანასკნელი მსუბუქი ვარჯიშობა, ხოლო საღამოს ისინი დაესწრნენ კლუბების „ფკ-13“ და „ესკ“ გუნდების მატჩს ბულგარეთის პირველობაზე პირველ ჯგუფში.

სოფიაში პაპანაქება სიცხე დაიწყო. დილიდანვე ელვარე, მზიანი დღეა, ცა მოწმენდილია. ტემპერატურა დილის 9 საათზე დაახლოებით 25 გრადუსია. სიცხის მიუხედავად, ყველა საბჭოთა სპორტსმენი მხნედ გრძნობს თავს და სავსებით მზად არის ღირსეულად გაამართლოს საბჭოთა სპორტსმენების სახელი და მათი გამომგზავნი ორგანიზაციების ნდობა.

მატჩისადმი ინტერესი უდიდესია. ყველა ბილეთი გაყიდულია. როგორც ეტყობა, ძალიან ბევრი მსურველი მატჩზე ვერ მოხვდება. გუშინ მატჩზე ჩამოვიდა იუგოსლავიის სპორტსმენთა ჯგუფი.

დღეს ბულგარული პრესა ვრცელ სტატიებს ათავსებს მომავალ მატჩზე, საბჭოთა ფეხბურთზე, საზოგადოება „სპარტაკსა“ და მის გუნდზე, აგრეთვე ათავსებს ბულგარეთში ჩამოსული პირველი საბჭოთა სასპორტო დელეგაციის მრავალ სურათს.

გაზეთი „ზარია“ დღევანდელი მატჩის გამო სწერს: „ჩვენს სასპორტო ცხოვრებაში მრავალი წლის მანძილზე დღევანდელი საერთაშორისო შეჯიბრება ჭეშმარიტად ყველაზე საინტერესოა. სტუმრების თამაშის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან იგი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთი მსუბუქი ვარჯიშობის დროსაც კი გვიჩვენეს, უნდა დავასკვნათ, რომ „სლავიას“ დღეს თავის მოწინააღმდეგედ ჰყავს მაღალი კლასის გუნდი, რომელმაც ძალიან კარგად იცის თამაში და რომელსაც კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ამ ცოდნის უნაკლოდ გამოსაყენებლად“. გაზეთი „სპორტი“, დღეს უძღვნის რა რამდენიმე გვერდს მომავალ მატჩს და სსრ კავშირში ფეხბურთის განვითარებას, დღევანდელ მატჩს აფასებს როგორც „განსაკუთრებულ მოვლენას ბულგარეთის სასპორტო ცხოვრებაში“.

გუშინ საბჭოთა სპორტსმენების დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. რომანოვი, სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. ლავრიშჩევთან ერთად, ეწვია ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს და განათლების მინისტრს პროფესორ ფილოვს და, ბულგარეთში საბჭოთა სპორტსმენების პირველი დელეგაციის ყოფნის სახსოვრად, გადასცა მას მხატვრული ნაწარმი—სახალხო მხატვრების—პალეხელების მიერ შესრულებული კოლოფები.

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება ბულგარეთში

სოფია, 11 აგვისტო (საკდესი). დღეს „იუნაკის“ სტადიონზე, დიდძალი მაყურებლების დასწრებით, მოხდა საბჭოთა ფეხბურთელების პირველი შეხვედრა ბულგარელებთან. „სპარტაკის“ გუნდი თამაშობდა კლუბ „სლავიის“ გუნდთან.

ფეხბურთის მოედანზე საბჭოთა გუნდის გამოჩენას მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ. მაყურებელნი თამაშს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. თამაში ორივე მხრივ ძალიან დაძაბული იყო.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 4:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ, მეორე ტაიმი — 2:1 „სპარტაკის“ სასარგებლოდ. თამაში დამთავრდა ანგარიშით 6:1 „სპარტაკის“ გუნდის სასარგებლოდ.

კომპარტიის დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო „საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტი ჩარლსტონიდან (დასავლეთ ვირგინიის შტატი) იუწყება, 7 აგვისტოს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს კომპარტიის კანდიდატს ამ შტატის გუბერნატორის არჩევნებში—უილერს. მას ბრალად დასდეს „საარჩევნო კამპანიის უკანონო მეთოდებით წარმოება“. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ უილერს განზრახვა აქვს აპელაციით მიმართოს შტატის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას.

კომენტარებს უკეთებს რა გაზეთში უილერის საქმეზე გამოტანილ განაჩენს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბრაუდერმა განაცხადა, რომ ამჟამად მთელს ამერიკაში სწარმოებს კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ. ბრაუდერის სიტყვით, დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელებმა გაშალეს ეს კამპანია, რადგან შიშობენ, რომ მთელ რიგ შტატებში მათი კანდიდატები მომავალ არჩევნებში დამარცხდებიან, თუ კომპარტია დამოუკიდებლად წამოაყენებს იქ თავის კანდიდატებს. ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ კომპარტიის კანდიდატებს კენჭი არ ეყაროთ არჩევნების დროს.

თანახმად ამერიკის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებისა, მთელს ამერიკაში სწარმოებს კომპარტიის დაშინებისა და ტერორიზების კამპანია. ფილადელფიაში პოლიციამ დაკითხა ყველა ის პირი, ვინც ხელი მოაწერა იმ პეტიციას, რომელიც მოითხოვდა მომავალი არჩევნების დროს კანდიდატთა სიაში შეეტანათ კომპარტიის კანდიდატები. განათლების საქალაქო განყოფილება სამსახურიდან დათხოვნით ემუქრება ყველა მასწავლებელს, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ პეტიციას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებშიც ასეთივე მდგომარეობა.

აფეთქება იტალიის სამხედრო ქარხნებში

რომი, 10 აგვისტო (საკდესი). იტალიის გაზეთები აქვეყნებენ იმ ძლიერ აფეთქებათა დაწვრილებით ცნობებს, რომლებიც 8 აგვისტოს მოხდა პიაჩენცსა და ლეკოს (იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი) სამხედრო ქარხნებში, ყუმბარების დამამზადებელ ქარხნებში. ლეკოში მოკლულია 3 მუშა და დაჭრილია 6. პიაჩენცში კი მოკლულია 39 და დაჭრილია 500 კაცი იმ 1.500 მუშიდან, რომლებიც აფეთქების დროს ქარხანაში იმყოფებოდნენ. პიაჩენცში ძლიერი აფეთქების გამო დაზიანებულია ქარხნის მახლობლად მდებარე შენობები და ქალაქის ბევრ სახლში ჩალეწილია მინები. რომიდან პიაჩენცსა და ლეკოში სასწრაფოდ გაემგზავრნენ სამხედრო ხელისუფალთა და პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლები.

მოკლე ცნობები

○ პარიზის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქში არ დაბრუნებულა. საწარმოები ჯერჯერობით დახურულია. მოსახლეობის უმრავლესობას სამუშაო არ აქვს. პარიზის გაზეთების ცნობებით უმუშევართა შორის 200 ათას კაცს აბსოლუტურად არავითარი საარსებო საშუალება არ აქვს.

○ 8 აგვისტოს მექსიკის დეპუტატთა პალატამ ერთხმად მოიწონა კანონპროექტი 18-დან 45 წლის ასაკამდე ყველა მამაკაცისათვის ერთწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღების შესახებ. ამ საკითხზე სენატი უახლოეს დროში მიიღებს გადაწყვეტილებას: სავალდებულო სამხედრო ბეგარა შემოღებულ იქნას 1941 წლის 1 იანვრიდან.

○ ჩრდილოეთ ირლანდიაში ომის პერიოდში აკრძალულია გაფიცვები და ლოკაუტები. მუშებსა და მეწარმეთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელად ტრიბუნალია დანიშნული.

უკანასკნელი ცნობები

ხმები საფრანგეთის მთავრობაში მომავალ ცვლილებათა შესახებ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, არაოკუპირებული ზონის საფრანგეთის გავლენიან წრეებში აღნიშნავენ, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია ცვლილებანი პეტენის მთავრობის შემადგენლობაში, ამასთანავე, როგორც სჩანს, ლავალი განდევნილ იქნება მთავრობიდან. მრავალი ავტორიტეტული პირი ლავალს ბრალად სდებს მთავრობის ყოფილ წევრთა დაცვას. როგორც სააგენტო აღნიშნავს, არც გერმანელებს სურთ მხარი დაუჭირონ ლავალს. ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ ლავალის გავლენის დაცემა იმ მომენტიდან დაიწყო, როცა მან მოითხოვა, რათა გამელენი დალადიესთან ერთად სამართალში ყოფილიყო მიცემული. როგორც იუწყებიან, ვეიგანმა და პეტენმა გადასწყვიტეს საფრანგეთის არმიის უმაღლესი სარდლობა დაიცვან „ათვალწუნებისაგან“.

ამერიკის შეერთებული შტატების საპასუხო ნოტა იაპონიისადმი

ტოკიო, 12 აგვისტო (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ 9 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უელესმა იაპონიის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორინოუცის გადასცა სახელმწიფო დეპარტამენტის (საგარეო საქმეთა სამინისტროს) საპასუხო ნოტა იაპონიის 3 აგვისტოს ნოტაზე. ამ უკანასკნელი ნოტით წარდგინება იყო გაკეთებული იმის წინააღმდეგ, რომ 1 აგვისტოდან შეზღუდულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან საავიაციო ბენზინის ექსპორტი.

თუმცა არც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და არც იაპონიის მთავრობას არა სურთ გაამხილონ ნოტის შინაარსი ტოკიოდან ცნობის მიღებამდე, — ხაზგასმით აღნიშნავს სააგენტო, — მაგრამ ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, რომ ნოტა არაფერს ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შეცვლაზე ამ საკითხში და რომ „ემბარგო თავდაცვითი ღონისძიება არის და არა დისკრიმინაციული ნაბიჯი იაპონიის წინააღმდეგ“.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 12 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „11 აგვისტოს ღამით ჩვენი სამხედრო საჰაერო ძალები თავს დაესხნენ ფილტონისა და კრუს ავიამრეწველობის საწარმოებს, კარდიფისა და ბრისტოლის ნავსადგურთა ნაგებობებსა და ევონმუტის საწვავი მასალის საწყობებს. ჩვენი ავიაცია სხვადასხვა რაიონებში ყუმბარას უშენდა საზენიტო არტილერიის პოზიციებს. ღამით მტრის თვითმფრინავებმა ჩრდილო და დასავლეთ გერმანიაში ყუმბარა დაუშინეს ისეთ ობიექტებს, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ, რასაც შედეგი არ მოყოლია. მათ ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოყარეს დასავლეთ გერმანიის ერთერთ ქალაქის დასახლებულ უბანში, მაგრამ ხანძარი მაშინვე ჩაქრობილ იქნა.

მტრის საერთო დანაკარგი გუშინდელი დღის განმავლობაში შეადგენს 90 თვითმფრინავსა და ჰაეროგადამღობ 8 აეროსტატს. გერმანიის ავიაციამ 21 თვითმფრინავი დაკარგა. ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის შეიარაღებული. სავაჭრო ხომალდი საშუალო ზომისა, რომელიც ბადრაგით მიდიოდა“.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად

ვ. ი. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“

(წიგნის 35 წლისთავის გამო)

35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის ცნობილი წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომელიც სამართლიანად ითვლება შემოქმედებითი მარქსიზმის ერთერთ უდიდესი მნიშვნელობის ნაწარმოებად.

ლენინმა ეს ისტორიული წიგნი დასწერა 1905 წლის ივნის-ივლისში და იგი პირველად გამოვიდა საზღვარგარეთ — ჟენევაში იმავე წლის ივლისის დამლევს (ძველი სტილით).

ცნობილია, რომ 1905 წლის ცხრა იანვრის (სისხლიანი კვირის) ამბებით რუსეთში დაიწყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. რევოლუციის მზარდი აღმავლობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა, რათა მას გამოემუშავებია თავისი ტაქტიკა, განესაზღვრა პოლიტიკური ხაზი და პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანები და საშუალებები მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

პარტიის კრიზისის დასაძლევად და პროლეტარიატის რევოლუციური ტაქტიკის გამოსამუშავებლად ვ. ი. ლენინმა გაშალა მედგარი ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. პარტიის დეზორგანიზატორები — მენშევიკები გამოვიდნენ III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და ყოველნაირად შეეცადნენ მის ჩაშლას.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ხანგრძლივი, მედგარი და დაუღალავი მუშაობის შედეგად 1905 წლის აპრილში ლონდონში მოწვეულ იქნა რსდმპ III ყრილობა, რომელსაც დაესწრო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა უმრავლესობა. დელეგატები მენშევიკური ორგანიზაციებიდან ყრილობაზე არ გამოცხადდნენ. ისინი ცალკე შეიკრიბნენ ჟენევაში და, რადგან ცოტანი აღმოჩნდნენ, თავიანთ ყრილობას უწოდეს კონფერენცია. ამრიგად გამოვიდა „ორი ყრილობა“, — „ორი პარტია“.

როგორც ბოლშევიკურ ყრილობაზე, ისე მენშევიკურ კონფერენციაზე განსახილველად იდგა ტაქტიკური საკითხები. ბოლშევიკურ ყრილობაზე და მენშევიკურ კონფერენციაზე მიღებულმა ტაქტიკურმა გადაწყვეტილებებმა სავსებით ნათელჰყო ტაქტიკურ უთანხმოებათა მთელი სიღრმე, რომელიც არსებობდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალების, მისი პერსპექტივების შეფასებაში და ამ რევოლუციაში პროლეტარიატის ტაქტიკური ამოცანების შესახებ. სწორედ ეს სერიოზული უთანხმოება გახდა უშუალო მიზეზი, რომლის გამოც ლენინმა დასწერა გენიალური წიგნი — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, სადაც მან ბოლშევიკური ყრილობისა და მენშევიკური კონფერენციის ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა დეტალურ განხილვის ფორმაში მოგვცა მენშევიკების მოღალატური ტაქტიკის გამანადგურებელი კრიტიკა და ბოლშევიკების ჭეშმარიტი რევოლუციური ტაქტიკის ბრწყინვალე დასაბუთება.

ვ. ი. ლენინი, უდიდესი თანმიმდევრობით იყენებდა რა მარქსისა და ენგელსის ძვირფას ტაქტიკურ მითითებებს, ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეფარდებით, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ახალ თავისებურ ვითარებასთან შეფარდებით იმუშავებდა პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის — ბოლშევიკების პარტიის ტაქტიკურ საფუძვლებს, რომლებიც გენიალურად უპასუხებდა რუსეთის სინამდვილეს.

„ძირითადი ტაქტიკური დებულება, რომლითაც გამსჭვალულია ლენინის წიგნი, არის იდეა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატს შეუძლია და უნდა იყოს კიდეც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის **ბელადი,** რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის **ხელმძღვანელი**“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 79).

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალების და პერსპექტივების საკითხის გადაწყვეტას მენშევიკები უდგებოდნენ არა რუსეთის სინამდვილის კონკრეტული მონაცემების მიხედვით, არამედ დასავლეთსა და რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებს შორის უბრალო ანალოგიებით და ისტორიული პარალელების გავლებით.

მენშევიკები, როგორც რევოლუციის გამცემლები, ყოველნაირად ცდილობდნენ რა დაემცირებიათ პროლეტარიატის როლი რუსეთის რევოლუციაში, გაიძახოდნენ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია იყოს რევოლუციის ჰეგემონი და რომ რევოლუციის ხელმძღვანელობა უნდა დაეთმოს ლიბერალურ ბურჟუაზიას.

„ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთის რევოლუციის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ძირფესვიანად გამოამჟღავნა მენშევიკების ისტორიული პარალელების სიცარიელე და მთელი საფრთხე მენშევიკური რევოლუციის საქმისა, რომელიც მუშათა საქმეს ბურჟუაზიას აძლევდა საჯიჯგნად“ (ი. სტალინი, ლენინის შესახებ, გვ. 15).

ლენინი შესანიშნავი სიცხადით ასაბუთებდა, რომ თავისი მდგომარეობით პროლეტარიატი არის ყველაზე მოწინავე და ერთადერთი თანმიმდევარი რევოლუციური კლასი, რომელიც დაინტერესებულია დემოკრატიული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით და რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი, ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებელი, ნამდვილი რევოლუციური პარტია, — ბოლშევიკების პარტია.

ლენინი ანვითარებდა იმ აზრს, რომ განსაზღვრული აზრით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში უფრო ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის, ვიდრე ბურჟუაზიისათვის.

ლენინი ასაბუთებდა, რომ გლეხობას შეუძლია დემოკრატიული რევოლუციის სრული და უაღრესად რადიკალური მომხრე გახდეს, ვინაიდან მხოლოდ სავსებით გამარჯვებულ რევოლუციას შეუძლია მისცეს ის რაზედაც იგი საუკუნეების განმავლობაში ოცნებობს, რათა ამოვიდეს ნახევრად ბატონყმური ჭაობიდან, თავი დააღწიოს სიბნელეს და მონობას, რათა გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრების პირობები. ლენინი აქვე აღნიშნავდა, რომ გლეხობას პროლეტარიატთან აკავშირებს არა მარტო რადიკალური აგრარული გარდაქმნა, არამედ მშრომელი გლეხობის ყველა საერთო და მუდმივი ინტერესიც.

ლენინი, ამხელდა რა ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ბუნებას, აღნიშნავდა, რომ რუსეთის ბურჟუაზია, როგორც იუდა, დასტირის რევოლუციური გზის შესაძლებლობას, მას უშინია რევოლუციის, ცდილობს თავი დააღწიოს რევოლუციას, იჩენს გაიძვერობას და მუხლს იდრეკს მეფის წინაშე უბადრუკი რეფორმებისათვის. ამიტომ ლენინი მოითხოვდა ბურჟუაზიის განდევნას რევოლუციის ხელმძღვანელობის ასპარეზიდან და პროლეტარიატის მედგარი ბრძოლის გაშლით მის სრულ იზოლირებას და პარალიზებას.

ლენინი, ახდენდა რა რევოლუციის მოვლენათა განვითარების ანალიზს, ობიექტურ პირობათა თვალსაზრისით ითვალისწინებდა რევოლუციის ორ შესაძლო დაბოლოვებას: 1) ან საქმე გათავდება რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით ცარიზმზე ან 2) გადამწყვეტი გამარჯვებისთვის ძალები არ გვეყოფა და საქმე გათავდება ცარიზმის გარიგებით ბურჟუაზიასთან ხალხის ხარჯზე.

ლენინმა თავის წიგნში ნათლად დაასაბუთა, რომ დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, შესძლებს თუ არა პროლეტარიატი სათავეში ჩაუდგეს და ხელმძღვანელობა გაუწიოს დემოკრატიულ რევოლუციას, შესძლებს თუ არა ლიბერალური ბურჟუაზიის სრულ იზოლირებას და გარიყვას, შესძლებს თუ არა გლეხობის მასის მიმხრობას, მათ ამხედრებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ შეერთებული ძალით გასრისონ თვითმპყრობელობა და დამბლა დასცენ მომაკლერე ლიბერალურ ბურჟუაზიას.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ცარიზმზე გადამწყვეტ გამარჯვებას, ე. ი. მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას მთელი მსოფლიოს მომავალი განვითარებისათვის ექნება გიგანტური მნიშვნელობა.

„მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციურ ენერგიას, — სწერდა ლენინი, — ვერაფერი ისე ვერ აწევს, ვერაფერი ისე მძლავრად ვერ შეამოკლებს მის სრულ გამარჯვებისაკენ მიმავალ გზას, როგორც რუსეთში დაწყებული რევოლუციის ეს გადამწყვეტი გამარჯვება“ („სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, გვ. 62).

ლენინის ძირითადი ტაქტიკური დებულება ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ახალი გეზი ტაქტიკის საკითხებში. ეს იყო ახალი ნაბიჯი მარქსისტული პარტიის ტაქტიკის განვითარებაში.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად ლენინს მიაჩნდა ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება. რუსეთის ცოცხალი სინამდვილის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე მუშათა კლასს და რევოლუციურ გლეხობას ლენინი აძლევდა ისეთ ტაქტიკურ საბრძოლო ლოზუნგებს, რომლებიც აღაგზნებდა მასებს რევოლუციისათვის საბრძოლველად და მასების რევოლუციურ თვითმოქმედებას, გაუძღვებოდა წინ, როგორც შუქურა გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ და უჩვენებდა ამ გამარჯვების ახლო და პირდაპირ გზას.

აჯანყებისათვის პროლეტარიატის და გლეხობის მომზადება, მათი შეიარაღება, რევოლუციური არმიის შექმნა და საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და ტექნიკურად მომზადება ლენინს მიაჩნდა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის მთავარ და აუცილებელ ამოცანად.

ლენინი ბოლომდე ამჟღავნებდა მენშევიკების სრულ იდეურ გახრწნას, რომლებიც გადაჭრით უარყოფდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადების და გატარების რევოლუციურ ტაქტიკას, გზას ურევდნენ პროლეტარიატს და რევოლუციურ გლეხობას, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მათს რიგებში და არევდარევა მათს შეგნებაში.

მენშევიკები თავიანთი ტაქტიკური შეხედულებებით და ლოზუნგებით, გამოდიოდნენ რა ლენინისა და ბოლშევიკების ტაქტიკური დებულებების და ლოზუნგების წინააღმდეგ, ამავე დროს სავსებით იზიარებდნენ და იმეორებდნენ ლიბერალური მონარქიული ბურჟუაზიის ტაქტიკურ შეხედულებებს და ლოზუნგებს. ამიტომ იყო, რომ მონარქიული ბურჟუაზია და მათი იდეოლოგები სალამს უძღვნიდნენ მენშევიკებს და, კიდევ მეტი, მათი წყლით საკუთარი წისქვილის ქვებს აბრუნებდნენ.

მარქსიზმის ვულგარიზატორები— მენშევიკები მარქსიზმის ასოს დაპირისპირებით მის რევოლუციურ არსთან, მის რევოლუციურ მეთოდთან, ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი ოპორტუნისტული, რევოლუციის გამცემლური ტაქტიკა დაეფარათ რევოლუციური ფრაზებით და მარქსიზმის ნიღაბით. მენშევიკები და მათი ლიდერები თავიანთი ოპორტუნისტული ტაქტიკური შეხედულებებით სავსებით ემთხვეოდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის ტაქტიკურ შეხედულებებს, „და ცუდი ლიბერალების ამ უხამს გადამღერებას მენშევიკები აყენებდნენ, როგორც „ნამდვილი“ მარქსიზმის უკანასკნელ სიტყვას!“ (ი. სტალინი, ლენინის შესახებ, გვ. 15).

ლენინი თავის წიგნში შეუპოვრად გლეჯდა ნიღაბს მენშევიკებს, რომლებიც თავიანთი ტაქტიკური ლოზუნგებით მუშებს და გლეხებს ურჩევდნენ: ნუ იფიქრებთ ისარგებლოთ დაწყებული რევოლუციით, ხელი აიღეთ შეიარაღებულ აჯანყებაზე, ნუ გაჰყვებით ლენინს და ბოლშევიკებს, რომლებიც მოგიწოდებენ დემოკრატიული რევოლუციის საქმის ხელში აღებისაკენ, შეძვერით სოროებში, კუდში მისდიეთ ლიბერალურ ბურჟუაზიას და დაიტოვეთ კრიტიკის თავისუფლებაო.

ლენინმა თავისი ულმობელი კრიტიკით ცოცხალი ადგილი არ დაუტოვა მენშევიკებს, რომლებიც საქმით კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიაზე ჰყიდნენ პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესებს რევოლუციაში.

ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან აღადგინა, ბრწყინვალედ დაიცვა და ახალ ისტორიულ ვითარებაში განავითარა და გაამდიდრა მარქსისა და ენგელსის გენიალური იდეები შეიარაღებული აჯანყების შესახებ, რომელსაც ტალახში სვრიდნენ მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტები და მენშევიკები. ლენინმა თავისი გენიალური მოძღვრებით — შეიარაღებული აჯანყების შესახებ ასწავლა პროლეტარიატს შეიარაღებული აჯანყების დიადი ხელოვნება.

ლენინი, არკვევდა რა დემოკრატიული გადატრიალების კლასობრივ ხასიათს, აღნიშნავდა, რომ ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების გზით მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ უნდა შეიქმნას დროებითი რევოლუციური მთავრობა.

ლენინი, ითვალისწინებდა რა იმას, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის ცარიზმზე გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ იმ გარდაქმნათა განხორციელების შედეგად, რომელსაც დროებითი რევოლუციური მთავრობა გაატარებდა, მეფე მემამულეები, კაპიტალისტები ახალს უფრო სასტიკ ბრძოლას გააჩაღებდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, ამიტომ რეაქციის ძალების დაუზოგავად მოსპობის და რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, განმტკიცებისა და გაფართოების ინტერესებისათვის ლენინი მოითხოვდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე გადასვლას.

მარქსიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეფარდებით, გენიალურად დაამუშავა რა მოძღვრება პროლეტარიატის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელსაყრელ პირობებში სოციალ-დემოკრატია ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, რათა რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა და გლეხობამ კონტრრევოლუციას დასცხოს არა მარტო „ქვევიდან“, არამედ „ზევიდანაც“, მთავრობის შიგნით. წინააღმდეგ მენშევიკებისა, ლენინი ასწავლიდა დემოკრატიულ რევოლუციის ხელმძღვანელ კლასს — პროლეტარიატს, სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებისათვის ემოქმედნა არა მარტო „ქვევიდან“, არამედ „ზევიდანაც“.

ლენინი თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ გამანადგურებლად აკრიტიკებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს კავკასიის მენშევიკებს და მათ ლიდერს ნ. ჟორდანიას, რომელიც მსგავსად რუსი მენშევიკებისა, ილაშქრებდა რსდმპ III ყრილობის ტაქტიკური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

ლენინი თავის წიგნში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას იხილავდა, როგორც ისტორიულად აუცილებელ ეტაპს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასასვლელად. ლენინი აღნიშნავდა, რომ დემოკრატიული ამოცანების შესრულების შემდეგ უნდა დაიწყოს პროლეტარიატის და სხვა ექსპლუატირებული მასების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის. ამიტომ ლენინი სწერდა: „ახლანდელი რევოლუციის სრული გამარჯვება დემოკრატიული გადატრიალების დასასრული და სოციალისტური გადატრიალებისთვის გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი იქნება“ (იგივე, გვ. 151).

ლენინი თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ ანვითარებდა და ბრწყინვალედ იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორიას. ლენინმა, გენიალურად გამოიმუშავა რა ახალი გეზი ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის თანაფარდობის საკითხში, ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლოს პირდაპირ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ, სწერდა: „დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძალის მიხედვით, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძალის მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ, ჩვენ არ შევჩერდებით შუაგზაზე“ (ტ. VIII, გვ. 186).

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი თეორიით ლენინმა თავდაყირა დააყენა და გაანადგურა მენშევიკების, ტროცკისტების, ესერების და დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების და მათი ბელადების დამპალი, ანტიმარქსისტული, ანტიპროლეტარული შეხედულებები სოციალისტური რევოლუციის შესახებ. სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი გეზის შემუშავების დროს ლენინი ემყარებოდა მარქსის ცნობილ დებულებას განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ, რომლის დამარხვას ყოველნაირად ცდილობდნენ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტები, ტროცკისტები და მენშევიკები.

ლენინის მსოფლიო ისტორიული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან აღადგინა მარქსის დავიწყებული დებულებანი, შემდგომ განავითარა ისინი და გადაამუშავა სოციალისტური რევოლუციის მწყობრ თეორიად, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მიმართ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის მწყობრ სისტემად, არა მარტო ცარიზმის დამხობის საქმეში, არამედ კაპიტალიზმის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის საქმეშიაც.

ცნობილია, რომ ლენინმა თავის ისტორიულ წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ დასახა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიის პირველი საფუძვლები, რომელიც შემდეგ, 1915 წელს თავის ისტორიულ სტატიებში ჩამოაყალიბა როგორც დამთავრებული თეორია, თეორია ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების, მისი გამარჯვების პირობების, მისი გამარჯვების პერსპექტივების თეორია.

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი, დამთავრებული თეორიით ლენინმა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს გენიალურად გაუხსნა და გაუშუქა ნათელი პერსპექტივა სოციალიზმისათვის ძლევამოსილი ბრძოლისათვის.

ლენინმა ამ წიგნით მარქსიზმი გაამდიდრა ახალი აღმოჩენებით, რითაც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის რევოლუციურ ტაქტიკას.

„მოვლენათა შემდგომი განვითარება, ოთხწლიანი იმპერიალისტური ომი და მთელი სახალხო მეურნეობის შერყევა, თებერვლის რევოლუცია და ცნობილი ორძალაუფლებიანობა, დროებითი მთავრობა, როგორც ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის კერა, და პეტერბურგის საბჭო, როგორც ჩასახვის გზაზე მდგომი პროლეტარული დიქტატურის ფორმა, ოქტომბრის გადატრიალება და დამფუძნებელი კრების გარეკვა, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გაუქმება და საბჭოების რესპუბლიკის გამოცხადება, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და მსოფლიო იმპერიალიზმის გამოსვლა სიტყვით „მარქსისტებთან“ ერთად, პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, დაბოლოს, დამფუძნებელ კრებას ჩაჭიდებული მენშევიკების უმწეო მდგომარეობა, რომლებიც პროლეტარიატმა გვერდზე გადაისროლა და რევოლუციის ტალღამ კაპიტალიზმის ნაპირზე მიაგდო, — ყოველივე ეს მხოლოდ ადასტურებდა ლენინის მიერ „ორ ტაქტიკაში“ ფორმულირებული რევოლუციური ტაქტიკის საფუძვლების სისწორეს. პარტიას, რომელსაც ხელთ ჰქონდა ასეთი მემკვიდრეობა, შეეძლო გაბედულად ევლო წინ და არ შეშინებოდა მეჩეჩებისა“ (ი. სტალინი, „ლენინის შესახებ“, გვ. 16-17).

ლენინის გენიალურმა ტაქტიკურმა იდეებმა გაიარა გენერალური შემოწმება რუსეთის სამი რევოლუციის ცეცხლში. ლენინის ძვირფას ტაქტიკურ იდეებს აქვს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. ლენინის ეს უკვდავი იდეები ეხლა ყველა ქვეყნის მუშებს და კაპიტალის მონობისაგან დაბეჩავებულ მრავალმილიონიან მასებს მძლავრად უშუქებს ძლევამოსილ კომუნისტური რევოლუციის გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვის 40 წლისთავი

იქ, სადაც მუშაობდა დიდი სტალინი

აგვისტოს გაფიცვის 40 წლისთავი

„1900 წელს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით თბილისის 400-500 მუშამ აღნიშნა პირველი მაისის დღესასწაული (23 აპრილს ძველი სტილით). ისინი შეიკრიბნენ ქალაქგარეთ მლაშე ტბის რაიონში მარქსის, ენგელსის პორტრეტებით და რევოლუციური ლოზუნგებით.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი და მოუწოდა მუშებს მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

1900 წ. მაისიდან ივლისამდე თბილისის საწარმოებში არ სწყდება გაფიცვების ტალღა. 1900 წ. აგვისტოში რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მ. ი. კალინინის აქტიური მონაწილეობით, აწყობენ გრანდიოზულ გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე მუშამ.“

ლ. პ. ბერია

ამიერ-კავკასიის რკინიგზების მთავარი სახელოსნოები და დეპო, აგებული 1883 წელს, თბილისის ყველაზე უფრო მსხვილ საწარმოს წარმოადგენდნენ. 1900 წელს სახელოსნოებსა და დეპოში მუშების რიცხვმა 6.700 კაცს მიაღწია. რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. 12-14 საათიან სამუშაო დღის პირობებში ისინი ღებულობდნენ სრულიად უმნიშვნელო ხელფასს, რომელსაც წლითი-წლობით ამცირებდა ამიერ-კავკასიის რკინიგზების ადმინისტრაცია. დღიური მუშაობისათვის საშუალოდ აძლევდნენ 65-75 კაპიკს, სანარდო სამუშაოსათვის კი 1 მ. — 1 მ. და 30 კაპ.

ასეთი მდგომარეობის შედეგად სამუშაოს მიმცემთა და მუშათა შორის კონფლიქტები თანდათან იზრდებოდა და მთელ რიგ გაფიცვებში ისახებოდა. როდესაც რკინიგზა ხაზინის კერძო საკუთრებად გახდა (1889 წ.) მუშების მატერიალური მდგომარეობა და შრომის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა.

1898 წელს რევოლუციური უმცირესობის ჯგუფი—„მესამე დასი“, ამხანაგ სტალინის მეთაურობით დაუკავშირდა თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშებს, და პირველ რიგში რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და ამიერ-კავკასიის რკინიგზების დეპოს მუშებს.

ამ პერიოდში თბილისის მოწინავე მუშებს თავიანთ წრეში უკვე ჰყავდათ მასების მტკიცე ხელმძღვანელები, ისეთი რევოლუციონერები, როგორც მიხო ბოჭორიძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი თელია, ვანო სტურუა და სხვ.

1898 წ. დასაწყისიდან რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მოწინავე მუშებისაგან ამხანაგმა **სტალინმა** მოაწყო ხუთი არალეგალური წრე, რომლებსაც იგი პირადად ხელმძღვანელობდა. წრეების მეცადინეობა სწარმოებდა ვ. სტურუას, გიორგი ნინუას, ზ. ჩოდრიშვილისა და სხვ. ბინებზე.

ამხანაგი სტალინი და მისი თანამებრძოლნი „მესამე დასის“ უმცირესობათაგან რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდასთან ერთად ამოცანად ისახავდნენ მუშათა მოძრაობის გადაყვანას მასობრივი ბრძოლის რელსებზე, თბილისის პროლეტარიატის გაფიცვების და მათი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის ამოცანას.

1898 წ. თბილისში პირველად მოეწყო რკინიგზის სახელოსნოების მუშათა დიდი გაფიცვა.

სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა, აგრეთვე მოსამსახურეებმა და კონდუქტორებმა, რიცხვით 3000-მდე კაცმა, 1898 წლის 14 დეკემბერს შეაჩერეს მუშაობა და გამოაცხადეს გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ყველა შეღავათის დაცვას და მუშების საერთო მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გაფიცვის ხელმძღვანელი იყო თბილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფი ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით. ამ გაფიცვების შემდეგ 1898 და 1899 წლებში ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა რამდენიმე მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა.

1900 წლის 23 აპრილს მოხდა თბილისის პროლეტარიატის მეორე მაისობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თბილისის 500-დე მოწინავე მუშამ. მაისობა შესდგა ქალაქგარეთ მლაშე ტბის რაიონში. დემონსტრანტების დროშებზე გამოხატული იყო მარქსისა და ენგელსის პორტრეტები. საპირველმაისო მიტინგზე მხურვალე სიტყვით გამოვიდა ამხანაგი **სტალინი**, რომელმაც მუშებს მოუწოდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

1900 წლის ზაფხულში, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩატარდა რამდენიმე გაფიცვა. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების და თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვები.

თავის მოხსენებაში ჟანდარმთა სამმართველო აღნიშნავდა, რომ ეს გაფიცვები ტარდება სოციალდემოკრატების ხელმძღვანელობით, რომელთა მუშაობა მიზნად ისახავს სოციალდემოკრატების დაახლოებას მუშათა კლასთან, მათი იდეების პროპაგანდას მუშათა შორის.

ამიერ - კავკასიის რკინიგზების თბილისის დეპოს ბიბლიოთეკის გაჩხრეკისას გამოირკვა, რომ რევოლუციური სოციალდემოკრატია მუშებს ამარაგებდა საჭირო ლიტერატურით. ჟანდარმერია დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ამ ბიბლიოთეკის ხვთისმეტყველების განყოფილება შესდგებოდა მხოლოდ ექვსი წიგნისაგან, ხოლო ამ განყოფილებაში სრულიად არ ჰქონდათ „სასულიერო-ზნეობრივი“ ხასიათის წიგნები.

მოხსენებაში ნათქვამია იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკაში აღმოჩენილია მრავალი წიგნი პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიური პოლიტიკის, ფინანსების და მუშათა საკითხებზე, აგრეთვე ისეთი წიგნები, რომლებიც არ გამოდგება მუშებისათვის საკითხავად, როგორც მაგალითად სემენოვსკის „შიმშილი და ჩვენი პუბლიცისტიკა“, კოვალევსკის „ინგლისური პუგაჩოვშჩინა“, კარლ მარქსის წიგნები და სხვ. რომლებიც მუშებმა შესაძლებელია გაიგონ არასწორად და მივიდნენ უკიდურეს დასკვნებამდე.

რკინიგზის 1900 წლის აგვისტოს გაფიცვაში თბილისის პროლეტარებმა გამოიჩინეს მაღალი პოლიტიკური ორგანიზებულობა. ამ მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, წინ უსწრებდა თბილისის მთელ რიგ საწარმოთა გაფიცვები.

1900 წლის ივნისის განმავლობაში სახელოსნოების ცალკეულ საამქროებში თანდათან მატულობდა მღელვარება, მუშები მოითხოვდნენ საღამოს ზედმეტი სამუშაოს მოსპობას. საამქროების აზრი საბოლოოდ ჩამოყალიბდა თვის დასასრულ. მუშები მოითხოვდნენ: 1. ხელფასის გადიდება გავრცელდეს მუშების უფრო დიდ რაოდენობაზე. 2. დაწინაურებულ მუშათა არჩევის უფლება ჰქონდეს საამქროს და აკრძალულ იქნას, რომ ბრიგადირები ჩაერიონ საამქროების შინაურ საქმეებში.

თერთმეტ ივლისს სახარატო საამქროს მუშებმა ადმინისტრაციას სთხოვეს სიცხის გამო დროებით გაეუქმებია საღამოს სამუშაო საათები, ადმინისტრაციამ კატეგორიულად უარჰყო ამ თხოვნის დაკმაყოფილება. მუშებმა მეორე დღეს მიატოვეს საღამოს სამუშაო და მოითხოვეს ბრიგადირ პფუნდის და ოსტატ ბლიუმენბერგის გაძევება, რომლებიც ცნობილი იყვნენ ბრიგადირთა და ოსტატთა შორის ყველაზე მეტი უხეშობით. სახარატო საამქროს მოთხოვნა გადაეცა ყველა დანარჩენ საამქროს და გადაიქცა მხურვალე განხილვის საგნად. გაისმოდა ხმები რკინიგზელთა საერთო გაფიცვის, საგაფიცვო ფონდის მოწყობის სასარგებლოდ და ა. შ.

ადმინისტრაციამ რკინიგზის პოლიციასთან ერთად ენერგიული ზომები მიიღო „მეთაურების“ წინააღმდეგ, მაგრამ მისთვის სრულიად მოულოდნელად გამოირკვა, რომ „ყველა მუშის სულიერი განწყობილება ფრიად არახელსაყრელია“.

ივლისის განმავლობაში მუშათა შორის აგროვებდნენ საგაფიცვო ფონდის სასარგებლოდ შეწირულებებს. ყველა საამქროში მიმდინარეობდა გაფიცვისათვის მზადება. 28 ივლისს სახარატო საამქროს მოთხოვნას საღამოს სამუშაოების გაუქმების შესახებ შეუერთდა სავაგონო საამქრო, რომელიც ამავე დროს მოითხოვდა ბრიგადირ გამყრელიძის გაძევებას. ბრიგადირებისა და ოსტატების წინააღმდეგ მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო. მუშები შეხვედრის დროს ლანძღავდნენ მათ, სახეში აფურთხებდნენ, ბოიკოტს უცხადებდნენ, გამყიდველებსა და გამცემლებს უწოდებდნენ.

30 ივლისს, კვირას შესდგა ცალკეული საამქროების წარმომადგენელთა თათბირი შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. თათბირს დაესწრნენ: ზ. ჩოდრიშვილი, ალილუევი და სხვ. სანამ მუშაობას შეწყვეტდნენ, მათ აირჩიეს სამი პირისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელსაც ადმინისტრაციისათვის უნდა წარედგინა მუშების მოთხოვნები:

1. საღამოს სამუშაოების გაუქმება, ან ღამის სამუშაოებისათვის ცვლის დაწესება, 2. შეფასებათა გადიდება, 3. ხუთი და ათი წუთით დაგვიანებისათვის სასჯელის გაუქმება, 4. იმ ბრიგადირთა დათხოვნა, რომლებიც ჯაშუშობენ, 5. ზრდილობიანი მოპყრობა.

ამის საპასუხოდ ღამით მოხდა თათბირის მონაწილეთა უმრავლესობის დაპატიმრება.

ამან გამოიწვია 2000-ზე მეტი მუშის ერთსულოვანი გაფიცვა. გაფიცულებს თავიდანვე მოთხოვნები არ წარუდგენიათ. მხოლოდ ერთმა მუშამ, როგორც ჟანდარმერიის მოხსენებაში იყო აღნიშნული, წამოიძახა: „გაანთავისუფლეთ დაპატიმრებულნი“.

თბილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მეთაურობს აგვისტოს გაფიცვას, რაზმავს მუშებს, აწყობს კრებებს და ბეჭდავს პროკლამაციებს.

ამ გაფიცვაში ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოციალდემოკრატმა მუშებმა—ვანო სტურუამ და სხვ. აგრეთვე რუსეთიდან ადმინისტრატიული წესით გადმოსახლებულმა მუშებმა (მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მ. ი. კალინინი) და სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ახალგაზრდობა — ალიოშა ჯაფარიძე, დომოსტროევი და სხვ.

საგაფიცვო კომიტეტმა, რომელშიაც უმთავრესად შევიდნენ სოციალდემოკრატი მუშები, წარადგინეს მოთხოვნები, ხელფასის გადიდების, ზედმეტი სამუშაოების გაუქმების და ჯარიმების მოსპობის შესახებ. ამასთანავე ერთად მოითხოვდნენ: 8-საათიან სამუშაო დღეს, ოსტატების მხრივ მუშებისადმი ადამიანურ მოპყრობას, უხეშობისა და ჯაშუშობისათვის ბევრი ოსტატისა და ბრიგადირის გაძევებას და დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას.

გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს დეპოს მუშებმა, მემანქანეთა თანაშემწეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა და 8 მემანქანემ. 1 (14) აგვისტოს დილის 9 საათიდან გაფიცვის ტალღა უკვე აზვირთებული იყო. სახელოსნოების ბრიგადირები, ოსტატები და ადმინისტრაცია დაემალნენ აღშფოთებულ გაფიცულებს, 12 საათიდან დეპო და სახელოსნოები დახურულ იქნა. მუშაობის დამთავრების შემდეგ მუშები გაეშურნენ დიდუბისა და ავლაბრისაკენ. ცალკეული საამქროების და დეპოს წარმომადგენლები სოციალდემოკრატიულ კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად მთელი დღის განმავლობაში იხილავდნენ მოთხოვნებს, რომლებიც 2 აგვისტოს დილით წარუდგინეს რკინიგზათა უფროსს.

გზის უფროსისათვის მოთხოვნების წარდგენის დღეს მუშებში ვრცელდებოდა შემდეგი პროკლამაცია:

ამხანაგებო!

არსად ისეთ საშინელ პირობებში არ არის ჩაყენებული შრომა, როგორც ჩვენთან, ყველა მატერიალური დოვლათის შემქმნელნი არსად ისეთ სილატაკეში არ ცხოვრობენ, როგორც ჩვენში.

მუშები არსად არ არიან ისე დამცირებულნი, დამონებულნი, როგორც ჩვენში.

ჩვენ მთელ სისხლსა გვწოვენ, ცოცხლებს ტყავს გვაძრობენ, ჩვენ ტკივილებს განვიცდით, ჩვენს ტკივილზე, ჩვენს ტანჯვაზე ერთმანეთს შევჩივით—ხოლო ლაპარაკი აკრძალული გვაქვს.

ვგმინავთ ცემისაგან, რასაც მათგან ყოველ წუთს განვიცდით. ჩვენ ჯალათ-ჟანდარმებს გვისევენ.

მოვითხოვთ ადამიანურ მოპყრობას — ჩვენს ამხანაგებს კი, რომლებიც მტკიცედ დგანან ჩვენი ინტერესების დასაცავად, საპყრობილეში ამწყვდევენ, ხოლო ჩვენ... ცხვრებს გვიწოდებენ.

წინ მეგობრებო — ამხანაგებო, მოვიშოროთ ჩვენი სისხლისმსმელების სამარცხვინო უღელი.

დავუმტკიცოთ ჩვენს ექსპლოატატორებს, რომ ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი თავი და ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგები.

ვუჩვენოთ მათ, რომ ჩვენ არ გვეშინია საპყრობილეებისა, სადაც სუნთქვა სრულებითაც არ არის უფრო ძნელი, ვიდრე ჩვენს სახელოსნოებში.

დავუპირდაპიროთ ჩვენი მტრების ძალას ჩვენი ძალა, მათს უსირცხვილო ბრძანებებს ჩვენი შემდეგი მოთხოვნები:

1) საღამოს ზედმეტი სამუშაოების გაუქმება.

2) მუშათა ხელფასის გადიდება 100 პროცენტით იმათთვის, ვინც ერთ მანეთზე ნაკლებს ღებულობს, და 30 პროცენტით, ვინც ერთ მანეთზე მეტს ღებულობს,

3) ამის შესაბამისად საკორდო სამუშაოთა ტარიფის გადიდება,

4) მუშათა ხელფასის გაცემა თვეში ორჯერ,

5) „ნოლების“ მოსპობა,

6) ადამიანური მოპყრობა ოსტატებისა და ბრიგადირების მხრით,

7) სახელოსნოებში შრომის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება,

8) ჩვენს მოთხოვნებზე პასუხის გამოკვრა მუშური მოსახლეობის რაიონში,

9) ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება.

მოღალატის შუბლი დადაღულია წარწერით „მოღალატე“.

ამ მოწოდების ეგზემპლარები, რომლებშიც ხაზგასმული იყო სიტყვები „მოღალატის შუბლი დადაღულია წარწერით „მოღალატე“, ბრიგადირების, ოსტატებისა და ადმინისტრაციის სხვა პირების კარებსა და ფანჯრებზე გააკრეს.

გზის უფროსმა განგაში ასტეხა. მან გაფიცვა დაახასიათა როგორც ამბოხება, როგორც რევოლუციის დასაწყისი. ჯარებს უბრძანეს მზად ყოფილიყვნენ. მოახდინეს საიდუმლო პოლიციისა და ჟანდარმთა რეზერვის მობილიზაცია. გზის უფროსმა ვედენეევმა ეს ზომები მიიღო „საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად“ და მიმართა მუშებს წინადადებით—დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ მუშაობას. ამ მიმართვა-ულტიმატუმმა არა თუ ვერავინ ვერ შეაშინა, არამედ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა სხვადასხვა ეროვნებათა დამშეული, ქანცგამოლეული მუშების რიგები მთავრობის თვითნებობასთან ბრძოლაში. გზის უფროსის მიმართვამ შედეგი არ გამოიღო. აქტიურ მოწინავე მუშათა ყოველდღიურმა დაპატიმრებებმა, რომელთაც წაქეზებაში სდებდნენ ბრალს, ვერ შეარყია გაფიცვის ხელმძღვანელთა სიმტკიცე. ქალაქის საპყრობილე ყოველდღე ივსებოდა ახალ-ახალი სტუმრებით. 2 აგვისტოს დააპატიმრეს 24 კაცი, ხოლო 3 და 4-ს—377.

3 აგვისტოს მუშები ჯგუფ-ჯგუფად გარს შემოერტყნენ სახელოსნოსა და დეპოს, განუწყვეტელი კრებები და თათბირები ხდებოდა აგრეთვე მოძრაობის დარგის მუშაკთა და სადგურის მოსამსახურეთა შორის, რომლებიც გაფიცვაში ებმებოდნენ.

მაგრამ მოსამსახურენი ყოყმანობდნენ, ბევრი ფიქრობდა, რომ ვედენეევის განკარგულება შესრულებული იქნებოდა და ყველა მუშა 4 აგვისტოს მუშაობას შეუდგებოდა. მათი იმედები არ გამართლდა.

საგაფიცვო კომიტეტმა გზის უფროსის მიმართვის პასუხად გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის მოწოდება:

ამხანაგებო!

ბატონები დათხოვნით გვემუქრებიან, თუ ხვალ საყვირის დაძახილისთანავე სახელოსნოებს სამუშაოდ არ მივაშურეთ.

გადავწყვიტოთ, მეგობრებო, არ შევუშინდეთ ამ მუქთახორა-პარაზიტების მუქარას, თუნდაც მთელი თვეების განმავლობაში მხოლოდ რკოთი კვება მოგვიხდეს.

შევფიცოთ ერთმანეთს გავიტანოთ ჩვენი, ვიდრე უკლებლივ ყველა ჩვენი მოთხოვნა შესრულებული არ იქნება.

შეხედეთ რა ვაჟკაცურად ებრძვიან მტრებს ჩვენი ამხანაგები საფაროვის, ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის და ბუტულოვის ქარხნებში.

განა ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ მათ?

დიდება ერთგულ მებრძოლებს!

ზიზღი უბადრუკ ლაჩრებს, უკანდამხევებს, მოღალატეებს!

გზის ადმინისტრაციამ პირველი დღიდანვე გაფიცვას პოლიტიკური უწოდა და მოიხსნა პასუხისმგებლობა მისი შედეგებისათვის. ეს ნიშნავდა დასახმარებლად ჟანდარმერიისათვის, ჯარებისათვის მიმართვას.

მაგრამ ყოველდღე დაპატიმრება, რეპრესიული ზომები გაფიცულების მიმართ მხოლოდ აკაჟებდა მუშების ნებისყოფასა და გამბედაობას.

5-6 აგვისტოს მემანქანეთა თანაშემწეებმა განიხილეს გაფიცვასთან შეერთების საკითხი, შემდეგ კი გაფიცვა გამოაცხადეს.

მემანქანეთა თანაშემწეებიდან გაფიცული იყო 50 კაცი. მატარებლების მოძრაობა არ შეწყვეტილა, ვინაიდან ბევრმა მემანქანემ მხარი არ დაუჭირა გაფიცულებს. მათგან მხოლოდ 8 კაცი შეუერთდა გაფიცვას. მაგრამ მასა მაინც არ ჰკარგავდა გამარჯვების იმედს. მით უმეტეს, რომ კვირის დამლევისათვის გაფიცულთა რიცხვმა 3.000 კაცს მიაღწია.

6 აგვისტოს თბილისში საალყო წესები გამოცხადდა, ჯარები გარს შემოერტყნენ სახელოსნოებსა და მუშათა უბნებს. კვლავ დააპატიმრეს 350 კაცი.

მემანქანეთა თანაშემწეების მხოლოდ ნაწილის გაფიცვამ ვერ შეაჩერა მატარებლების მოძრაობა და, რა თქმა უნდა, გავლენა ვერ მოახდინა გაფიცვის მსვლელობაზე. დაწყებული 7 აგვისტოდან სამუშაოზე გამოცხადებულთა რაოდენობა ყოველდღე მატულობდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ გაფიცულნი ეკონომიურად უზრუნველყოფილი არ იყვნენ და მათ მინიმალური მატერიალური დახმარებაც არ ეწეოდათ.

მთავრობა განაგრძობდა დაპატიმრებას, ჩხრეკას, ჯარისკაცები განუწყვეტლივ გარსშემორტყმული იყვნენ სახელოსნოებზე, არ აძლევდნენ რკინიგზის რაიონში კრებების მოწვევისა და თავმოყრის საშუალებას. მთავრობის ტერორი დღითი-დღე უფრო ულმობელი ხდებოდა. ყოველი მუშა დაპატიმრებასა და სასჯელს მოელოდა. 9 და 10 აგვისტოს კვლავ დააპატიმრეს 64 კაცი, მათ შორის ალიოშა ჯაფარიძე, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოუჩინეს მიმეოგრაფის ნაწილები და დომოსტროევის წერილები სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

9 აგვისტოს კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

ამხანაგებო!

ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, იმიტომ რომ ჩვენ მოვითხოვთ კანონის შესრულებას—მაშასადამე, მთავრობა იმისათვის აქვეყნებს კანონებს, რომ ჩვენ მოგვატყუოს.

ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ ჩვენ მოვითხოვთ მათხოვრული ხელფასის გადიდებას,—მაშასადამე, მთავრობას სურს, რომ ჩვენ ნახევრადმშიერნი, პირუტყვივით ვცხოვრობდეთ.

ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ ჩვენ მოვითხოვთ მოგვეპყრან ისე, როგორც ადამიანებს,—მაშასადამე, მთავრობა ისე გვიყურებს, როგორც პირუტყვს, რომელსაც წიხლის გაქნევის უფლებაც არა აქვს.

დავიხსომოთ ეს ძმებო. როდესაც დადგება მთავრობასთან ანგარიშის გასწორების დღე, ეს დღე კი ახლოა—ჩვენ მოვთხოვთ ამისათვის პასუხს.

ახლა, ძმებო, ერთსულოვნად დავიცვათ ჩვენი მოთხოვნები და დავანახვოთ ჩვენი სისხლის მწოველებსა და მათს დამქაშებს მთავრობითურთ, რომ მათ საქმე აქვთ არა უბადრუკ მონებთან და უსიტყვო პირუტყვთან, არამედ ადამიანებთან, რომლებსაც შესწევთ უნარი მოთხოვნისა, რომლებსაც შესწევთ უნარი ბრძოლისა და, თუ საჭირო იქნება, ტანჯვაც მიიღონ თავისი წმინდა საქმისათვის.

ერთსულოვნად გამარჯვებისაკენ, მეგობრებო — ამხანაგებო!

მიუხედავად კომიტეტის და მოწინავე შეგნებული მუშების მოწოდებისა, გაფიცვა მაინც ნელდებოდა. სახელოსნოების მუშები ნაწილობრივ შეუდგნენ მუშაობას. 5 აგვისტოს სამუშაოზე გამოვიდა 250 კაცი, 7 აგვისტოს—350 კაცი, 9 აგვისტოს—449 კაცი, 11-ს—640 კაცი, 12-ს—936 და, ბოლოს, 15 აგვისტოს—1467 კაცი.

თბილისის საპყრობილეები გაჭედილი იყო დაპატიმრებული გაფიცულებით. 15 აგვისტოს დაპატიმრებულ და დათხოვნილ მუშათა რიცხვმა 884 კაცს მიაღწია რაც მუშათა მთელი შემადგენლობის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენდა.

884 დაპატიმრებულიდან 300 დაუყოვნებლივ (13 აგვისტოს) გააძევეს ეტაპის წესით თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. 164 კაცი სასამართლოს წინაშე წარსდგა, დანარჩენნი კი სხვადასხვა დროს გამოუშვეს საპყრობილიდან—სამუშაოზე შესვლის უფლების აღკვეთით.

ამრიგად, გაფიცვა ჩააქრეს განსაკუთრებული სიმკაცრით, მესანგრეთა, ყაზახთა და ჟანდარმთა ძალებით. მიუხედავად ამისა, ამ გაფიცვამ ახალი ფურცელი გადაშალა ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მუშათა მასებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით ცარიზმის ლურჯმუნდირებიან ლაქიებს პირველად დაანახეს თავისი ძალა და ორგანიზებული გამოსვლის მთელი სიდიადე.

ამ გაფიცვამ გააფართოვა და გააღრმავა კლასობრივი ბრძოლა ამიერ-კავკასიაში.

ლ. გეგეშიძე



ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვას (1900 წ.).



მეფის სატრაპები ფანტავენ ა.-კ. რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების გაფიცულ მუშებს 1900 წელს. მხატვ. ივ. ვეფხვაძის სურათიდან.

„ისკრა“ და „ბრძოლა“ აგვისტოს გაფიცვის შესახებ

1900 წელი დამთავრდა დიდი გაფიცვით რკინიგზის სახელოსნოებში, სადაც 4000 მუშამ შესწყვიტა მუშაობა და მოითხოვა მთავრობისაგან სამუშაო დროის 8 საათამდე შემცირება, ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება. გაფიცვამ 15 დღეს გასტანა; მაგრამ... მეფის მთავრობამ ჯარი შემოარტყა ნახევარ ქალაქს, დააპატიმრა 1500-ზე მეტი მუშა და უმრავლესობა მათგანი „სამშობლოში“ გადაასახლა, ძალით მიერეკებოდა ზოგიერთ მუშებს სამუშაოზე და სხვ. და სხვ., და მეფის მთავრობის მიერ შევიწროებულმა მუშებმა დაიწყეს მუშაობა. ამ ხნიდან მოყოლებული ჟანდარმები იჭერენ და ამწყვდევენ საპატიმროებში ბრალიანსა და უბრალოს. ჟანდარმებმა ქალაქს შესიეს რუსეთიდან გამოწერილი ჯაშუშების მთელი ხროვა, სახელოსნოები და ფაბრიკები პროვოკატორებით აავსეს და მზად იყვნენ ეფიქრათ, რომ უკვე მოსპეს მუშათა მოძრაობის განვითარების ყოველი შესაძლებლობა. მაგრამ მათ მალე მოუხდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ მუშათა მოძრაობა თბილისში „ძლიერდება მთელი სიღრმე-სიგანით“,—როგორც მათ განუცხადეს თავის შეფს, შინაგან საქმეთა მინისტრს, როცა ახალი კრედიტი გამოითხოვეს ჯაშუშთა კორპუსის გასაძლიერებლად...

„ისკრა“ № 12

1901 წ. 6 დეკემბერი.

* * *

„სწორედ ათი დღე გასტანა რკინის გზის მუშათა გაფიცვამ 1900 წ. და ამ ხნის განმავლობაში, ცოტა გაწყდა, კინაღამ შესწყვიტეს მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობა, ასე რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ამ ბრძოლაში მუშებზე გაცილებით უფრო დაზარალებული მთავრობა დარჩა, რომელსაც რკინის გზის წესიერ მოძრაობის შეწყვეტამ მილიონობით ზარალი მიაყენა, და ეს ხომ ჭკუას ასწავლის მას შემდეგისათვის, ამის შემდეგ ის აგრე ადვილად ველარ გაბედავს მუშებთან ბრძოლას და უფრო ადვილად იკადრებს დაუთმოს ხოლმე მათ, რასაც მოითხოვენ. აქედან ცხადია, რომ **დამარცხდენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღეისათვის.** ეს რომ ცალიერი სიტყვები არ არის, ამას სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ 1900 წლის გაფიცვის შემდეგ რკინის გზის დეპო-სახელოსნოში ბევრი რამ იქნა შეცვლილი გაუმჯობესებული; ხშირად საკმარისია მოითხოვონ მუშებმა უფროსებისაგან ესა თუ ის ცვლილება და უფროსებიც გაფიცვის შიშით იძულებული ხდებიან აუსრულონ მათ მოთხოვნილება; ამას გარდა დღეს ამ დაწესებულებაში გაცილებით უფრო ადამიანურად ექცევიან მუშებს და სხვ... ეჭვი არ არის, რომ საკმაოა კიდევ მოხდეს სახელოსნოში საყოველთაო გაფიცვა, რომ მუშებმა თავისი გაიტანონ, წინანდელთან შედარებით უფრო ადვილად. აი რაში მდგომარეობს გამარჯვება დამარცხებულთა!..

1900 წლის რკინის გზის სახელოსნოს მუშათა გაფიცვა მეტად შესანიშნავი იყო ბევრი სხვა მხრითაც. ამ მუშების გმირულმა ბრძოლამ მომხიბვლელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი თბილისის მუშებზე და გაფიცვა გადამდებ სენივით მოედვა მრავალ ქარხნებს: ენფიანჯიანცისას, ადელხანოვისას, მირიესას და სხვ. და სხვ., რომლებშიაც მუშები არა ნაკლებ მედგრად იბრძოდნენ, გამხნევებულნი, სხვათა შორის, პროკლამაციებითაც. დამფრთხალმა მთავრობამ იკადრა აეძულებია „ხაზეინები“ ბევრი რამ დაეთმოთ მუშებისათვის.

ამ ამბების შემდეგ მთელი თბილისის მუშები გამოდიან ბრძოლის ველზე და თითქმის დღე არ გადის ისე, რომ ერთ რომელიმე სამრეწველო დაწესებულებაში მაინც გაფიცვა არ იყოს. ასე წარმოიდგინეთ, საქმე იქამდე მიდის, რომ გაფიცვა მოსახერხებელი ხდება თვით მექისეებშიაც კი აბანოებში. და ასე შეუჩერებლად, ასე ბუმბერაზივით იზრდება ჩვენში მუშათა მოძრაობა მიუხედავად იმისა, რომ მას წინ ეღობება მრავალი სიძნელე და დაბრკოლება“.

გაზ. „ბრძოლა“ № 2-3,

1901 წელი.

ძველი მუშების მოგონებებიდან

...1900 წელს დაისვა საკითხი მაისობის მოწყობის შესახებ, როგორც მახსოვს, ამხანაგ **სტალინის** თანხმობით დემონსტრაციის მოსაწყობად ადგილი ავირჩიეთ მლაშე ტბის მიდამოებში. ეს ადგილი ვუჩვენეთ ამხანაგ **სტალინს**, და მან მოგვიწონა არჩევანი. მაისობისათვის მოსამზადებლად ამხანაგმა **სტალინმა** დარაზმა ქალაქის მთელი მოწინავე მუშები. მაისობა დაინიშნა 23 აპრილისათვის. შეკრების ადგილი სასტიკ საიდუმლოებას შეადგენდა. მაისობის წინა დღეს წრეების ყველა წევრს მიეცა დავალება — დილა ადრიანად წასულიყვნენ გზის მცოდნე ამხანაგები. რომ ჩვენზე ეჭვი არავის აეღო. ვგზავნიდით ოთხ-ოთხ კაცს. დილის 10 საათისათვის ყველანი შევიკრიბენით. ამწვანებულ მინდორში წითელი დროშა აღვმართეთ... ეტყობოდა ბუნებაც სადღესასწაულოდ იყო განწყობილი. ილაპარაკა ჩვენმა **სტალინმა**, მან დაახასიათა პროლეტარიატის დღესასწაული, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის გამოხატულება და მოგვიწოდა ბრძოლისაკენ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. ამხანაგმა სტალინმა გვისურვა, რომ მერმისი მაისობა თვით ქალაქში გვედღესასწაულნა. ამხანაგ **სტალინის** სიტყვები ტაშმა დაჰფარა. შემდეგ მუშათაგან ილაპარაკეს ამხანაგებმა ვანო სტურუამ, მიხო ბოჭორიშვილმა, ზაქარია ჩოდრიშვილმა და სხვ. ამხანაგ სტალინის წინადადებამ, რომ შემდეგი მაისობა ქალაქში მოგვეწყო, საყოველთაო მოწონება გამოიწვია. საღამოს ჩვენ სიხარულით აღსავსენი უკან გამოვბრუნდით. ყველანი ველოდით მომავალ დემონსტრაციას ქალაქში.

ჟანდარმერიამ ჩვენი მაისობის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს გაიგო. როგორც გამოირკვა, ჟანდარმები გაემგზავრენ მეორე დღეს ჩვენი მაისობის ადგილის გამოსაკვლევად და დათელილი ბალახის მიხედვით დაასკვნეს, რომ იქ ნამდვილად ყოფილა დაახლოებით 500 კაცი. ჩვენ მუშები ბევრი გვაცინა ჟანდარმერიის ამ „კვლევა-ძიებამ“. იმავე საღამოს ნაძალადევის მთავარ ქუჩაზე დადიოდნენ ცხენოსანი კაზაკები, თითქოს დასაზვერად და შიშის დასანერგავად.

ამ მაისობის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გავიზარდეთ. აგვისტოში დიდი გაფიცვა მოვაწყეთ როგორც მთავარ სახელოსნოში, ისე დეპოშიც. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ამხანაგი **სტალინი**. გაფიცვასთან დაკავშირებით ჟანდარმერიამ დააპატიმრა დიდძალი მუშები, მაგრამ გაფიცულებმა შეუდრეკლად იჭირათ თავი. რეპრესიები, პირიქით, გვიმატებდნენ ბრძოლის წყურვილს. გაფიცულ მუშებს აღაფრთოვანებდა ამხანაგ **სტალინის** აგიტაცია კრებებზე, აგრეთვე მისი დაწერილი პროკლამაციები. მუშების ნაწილი, ხელისუფალთა განკარგულებით, სოფლებში გაგზავნეს.

აგვისტოს გაფიცვამ კიდევ უფრო გამოაფხიზლა მუშები და მუშათა მოძრაობა, რომელიც ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, ვიწროდ ჩაკეტილ საწრეო მუშაობიდან ფართო მასობრივ აგიტაციაზე გადადიოდა.

გიორგი ნინუა

* * *

...1900 წელს გაფიცვა მოხდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, ეს გაფიცვა ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნებსაც მოედო. გაფიცვის პირველ დღესვე დააპატიმრეს მრავალი მოწინავე მუშა. მათ შორის დამაპატიმრეს მეც და მეტეხის საპატიმროში 4 თვე ვიჯექი. საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ მე უკვე აღარ მიმიღეს რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. დავიწყე მუშაობა იარალოვის ქარხანაში, სადაც აგრეთვე ვმონაწილეობდი მუშათა არალეგალურ ს. დ. წრეების მუშაობაში...

ნიკოლოზ ვიგორგინი

ორდენოსანი, შრომის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 11 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის სარდლობის შემდეგ ცნობას:

„გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის შეიარაღებული სავაჭრო გემი „აპული გრენჯ" 9.130 ტონა წყალწყვისა. 10 აგვისტოს გერმანიის ავიაცია აწარმოებდა საზვერავ ფრენას ინგლისზე და ზღვაზე. მტრის ერთ სავაჭრო გემს დააყარეს ყუმბარა, რის შედეგად მისი ეკიპაჟი იძულებული გახდა დაეტოვებინა გემი. ინგლისის მნიშვნელოვანი ნავსადგურების ყელებში ჩაწყობილია ნაღმები. ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საავიაციო ქარხნებს ნორიჯში, რის გამო იქ ხანძარი გაჩნდა. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე ნიუპორტს, სუენსის, პემბრუკს და ფეთქადი ნივთიერების ქარხნებს ჰეილში.

ღამით მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში და ყუმბარები დააყარეს ისეთ ობიექტებს, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ. ობერჰაუზენში, შტერკრადეში, ბილეფელდში და ბოხუმში ყველგან თითო სახლია დანგრეული. ბრუკებელში, ჰანაუს მახლობლად, დანგრეულია 4 სახლი და ფარდული. ტელგტეში, მიუნსტერის რაიონში დანგრეულია რესტორანი. ხანძრები ყველგან სწრაფად ჩააქრეს. ჩამოგდებულია მტრის „ბრისტოლ-ბლენჰეიმის" ტიპის ერთი თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაციამ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა."

დიდი საჰაერო ბრძოლა ინგლისში

ლონდონი, 11 აგვისტო, (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საზღვაო სამინისტროს, ავიაციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს შემდეგს საერთო კომუნიკეს: „დღეს, დუვრის სრუტის თავზე მომხდარი საჰაერო ბრძოლის შემდეგ, გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მოიტანეს უეიმუტსა და პორტლენდზე. გერმანიის თვითმფრინავებს შეხვდნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები. თუ რა ზარალი მოუვიდა ერთს ან მეორე მხარეს, ეს ჯერჯერობით ზუსტად არ არის გამორკვეული. მაგრამ, არსებული ცნობებით, დღევანდელი დღის განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 50 თვითმფრინავი. ჩვენი 19 ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. როგორც ფიქრობენ, ზოგიერთმა ინგლისელმა მფრინავმა მოახერხა თავის გადარჩენა. ამ პუნქტებში დაზიანებულია მთელი რიგი შენობები, ზოგიერთი მათგანი — სერიოზულად. გარდა ამისა, რამდენადმე დაზიანებულია კომუნიკაციები და ცეცხლი გაუჩნდა ერთ ნავთსაცავს, მაგრამ შესაძლებელი გახდა ცეცხლის სწრაფად ლოკალიზება. პორტლენდზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს ყუმბარის ნამსხვრევებმა უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს ორ სამხედრო გემს. სხვა სამხედრო ან სავაჭრო გემებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. სანაპიროზე ჩამოგდებულმა ყუმბარებმა დააზიანეს საზღვაო ყაზარმები და ჰოსპიტალი. თავდასხმის შედეგად არის ადამიანის მსხვერპლი".

ბერლინი, 11 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „გარდა წარმატებითი თავდასხმისა ინგლისის სამხედრო ნავსადგურ პორტლენდზე, რომლის დროსაც ცეცხლი გავუჩინეთ ნავთის საწყობებს და ნავსადგურის შენობებს და ჩამოვაგდეთ მტრის 57 თვითმფრინავი, ჩვენმა სამხედრო საჰაერო შენაერთებმა მთელი რიგი სხვა წარმატებები მოიპოვეს. მტრის გემების ქარავანზე თავდასხმის დროს, რომელსაც ბადრაგა მიჰყვებოდა, გარვიჩის აღმოსავლეთით ჩაძირულია სამი სავაჭრო გემი 17.000 ტონა წყალწყვისა, მძიმედ დაზიანებულია ერთი საესკადრო ნაღმოსანი და სამი სავაჭრო გემი. ამ ოპერაციის დროს ჩვენი ავიაგამანადგურებლების შენაერთებმა ჩამოაგდეს მტრის 17 თვითმფრინავი, მეორე პუნქტში ჩამოგდებულია მტრის კიდევ 8 თვითმფრინავი. დუვრის მახლობლად ჩვენმა თვითმფრინავებმა მოსპეს ჰაერგადამღობი 8 აეროსტატი. ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 7 ავიაგამანადგურებელი. მტრის საერთო ზარალი დღეს, ამრიგად, 89 თვითმფრინავს შეადგენს. გერმანელებმა 17 თვითმფრინავი დაჰკარგეს".

საჰაერო ბრძოლა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს დღევანდელი დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის კიდევ 7 თვითმფრინავი — ხუთი ავიაგამანადგურებელი და ორი ყუმბარმშენი. სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მეორე პუნქტში დღეს, დილით, მოსპობილ იქნა გერმანიის სამი თვითმფრინავი. ჩამოგდებული 7 თვითმფრინავი შეადგენდა გერმანიის 50 თვითმფრინავის — ყუმბარმშენებისა და ავიაგამანადგურებლების იმ რაზმის ნაწილს, რომელიც ცდილობდა დიდ სიმაღლეზე შემოჭრილიყო ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გერმანიის თვითმფრინავების ამ რაზმს შეხვდნენ ინგლისის დიდძალი ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც გერმანელები უკუაქციეს.

დანიური გაზეთები ინგლისზე გერმანიის მომავალი თავდასხმის შესახებ

კოპენჰაგენი, 11 აგვისტო (საკდესი). კოპენჰაგენის გაზეთებმა გუშინ მოათავსეს ლონდონიდან მიღებული კორესპონდენციები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ინგლისი მოელის გერმანელთა დიდ შემოტევას უახლოესი 36 საათის განმავლობაში. თვის სწორედ ამ დღეებში ინგლისის სანაპიროსთან „წყალი მაღალია", რაც მოწინააღმდეგის გემებს შესაძლებლობას აძლევს ზედ ნაპირებს მიადგნენ. თუ თავდასხმა ამ 36 საათში არ მოხდა, იგი როგორც ფიქრობენ, გადაიდება კიდევ ერთი თვით — 2-9 სექტემბრამდე.

ამჟამად ინგლისში ყველაფერი საბრძოლოდ არის გამზადებული.

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტრო იუწყებიან, რომ 10 აგვისტოს, ღამით, მტრის ავიაციის მოქმედება უმთავრესად ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილით შემოიფარგლა. ბრისტოლის არხის რაიონში ერთერთ ქალაქს ყუმბარა დააყარეს. დაზიანებულია რამდენიმე სახლი. მსუბუქად დაზიანდა აგრეთვე რკინიგზის ყრილი ქალაქის მახლობლად. სამოქალაქო მოსახლეობაში არის მსხვერპლი, რამდენიმე კაცი მოკლულია.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 10 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ 8 აგვისტოს ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა დოკებს ჰამბურგში, საქონლის საწყობებს ჰამეში, სესტში, კელნში, აგრეთვე გერმანიის რამდენიმე აეროდრომს. ინგლისის ერთი თვითმფრინავი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ისე როგორც წინა ღამეებში თავდასხმების დროს, ინგლისის თვითმფრინავები განაგრძობდნენ მაგნიტური ნაღმების ჩაყრას გერმანიის ნავსადგურებში და მდინარეთა შესართავებში. ეს ოპერაციები სერიოზულ ზიანს აყენებს გერმანიის ნაოსნობას და ხელს უშლის გემების ნორმალურ მოძრაობას.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს შემდეგს კომუნიკეს:

„დღეს, დილით, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს, რომლებიც მიუახლოვდნენ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და რომლებმაც იერიში მოიტანეს ჰაერგადამღობ აეროსტატებზე, შეხვდნენ ინგლისის ავიაგამანადგურებლები. საზენიტო არტილერიამაც ინტენსიური სროლა აუტეხა მათ. ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანიის ორი ავიაგამანადგურებელი, მეორე საჰაერო ბრძოლაში, რომელიც მოხდა ლა-მანშის სრუტის თავზე, ჩამოგდებული იქნა მოწინააღმდეგის კიდევ 3 ავიაგამანადგურებელი და ერთი ყუმბარმშენი.

იტალიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 11 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ოფიციალურ ცნობას:

„ბრიტანეთის სომალში ჩვენ დავიკავეთ კარინისა და გოდაჯერის მთიანი გასასვლელები. შეტევა გრძელდება.

ჩვენმა საჰაერო შენაერთებმა ინგლის-ეგვიპტის სუდანში ყუმბარა დაუშინეს ერკოვიტს და დააზიანეს 15 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა იერიში მოგერიებულ იქნა. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავი, რომელიც ცდილობდა ყუმბარა დაეშინა ეილ ვაკისათვის (კენიის საზღვარზე) ჩამოგდებულ იქნა. მფრინავი ტყვედ წამოვიყვანეთ".



მიტინგი სოფ. ჩარგალში, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულებისადმი. სიტყვას ამბობს საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხანაშვილი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო დუშეთში

ქ. დუშეთის მშრომელებმა უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნეს შესანიშნავი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 25 წლისთავი.

10 აგვისტოს კლუბში შესდგა საღამო, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. პოეტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ მუშა-მოსამსახურენი, პედაგოგები, მოსწავლეები, ახლო სოფლების კოლმეურნეები.

აიხადა ფარდა. სცენაზეა პროლეტარიატის დიდი ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** პორტრეტები. მოსჩანან შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა ფშაველას პორტრეტები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან: საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნები გ. მიხანაშვილი და ს. რუხაშვილი, დუშეთის სარაიონო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. პაპაშვილი, პოეტები და მწერლები ი. აბაშიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, ა. ქუთათელი, ვ. წულუკიძე, კომკავშირის რაიკომის მდივანი შ. მწითური, განათლების განყოფილების გამგე მ. კვაჭაძე, დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი ე. მოსიაშვილი.

საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის ამხ. გ. მიხანაშვილი.

მოხსენებით ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოდის პოეტი ს. ჩიქოვანი. იგი ვრცლად ეხება ვაჟას მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის შესანიშნავ შემოქმედებას.

სიტყვები წარმოსთქვეს ი. აბაშიძემ, ვ. წულუკიძემ, შ. თვალავაძემ (განათლების განყოფილება), ბ. არუთინოვმა (პარტიის რაიკომი).

ი. მოსაშვილმა წაიკითხა ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტმა ს. ჩიქოვანმა წაიკითხა მის მიერ ქართულად ნათარგმნი უკრაინელი პოეტის მ. ბაჟანის ლექსი „ვაჟა მთაწმინდაზე" და ვაჟას ლექსი „ჩივილი ხმლისა".

ახალგაზრდა კოლმეურნეებმა ნ. ბულალაურმა და კ. ნამგალაურმა წაიკითხეს ვაჟასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ბურდულმა მოხდენილად წარმოსთქვა ვაჟას ლექსი „სიმღერა".

მიტინგი ვაჟას სოფელში

ლამაზია და მომხიბლავი ეს ვიწრო ხეობა. თითქმის ალმაცერად დაკიდებულან ტყით შემოსილი მთის ფერდობები. ქვევით მოჩქრის ცელქი ჩარგლულა, სწრაფად მიეშურება, რათა ჩაეხვიოს ცივსა და ანკარა ფშავის არაგვს.

მთის ფერდობებზე აქა-იქ მოსჩანან ფშაველთა სახლები. აი, ერთი სახლი, რომელიც გამოიყურება ხეებს შორის. პატარა ოთახი მიწის იატაკით, ბუხრით. ორი ფანჯარა ჩარგლულას და მის ხეობას გასცქერის. სახლის წინ—ბაღი, კაკლის ასწლოვანი ხეები ფართოდ გაშლილი რტოებით.

ეს ის სახლია, სადაც ვაჟა დაიბადა. აქ, ამ ოთახში, დაირწა ვაჟას აკვანი. აქ მუშაობდა იგი და ჰქმნიდა თავის შესანიშნავ ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, რომლებსაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მკითხველი.

ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა გარედ ქარი ზმუოდა, თოვლის ზვინები დგებოდა, ვაჟა იჯდა ბუხრის წინ, სწერდა კვარის სინათლეზე სტრიქონებს, რომლებიც იჭრებოდნენ ხალხში, ეღვიძებდნენ სიყვარულს სამშობლოსადმი, მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ უკეთესი, ნათელი მომავლისათვის.

11 აგვისტოა. თბილისიდან, დუშეთიდან, მაღაროდან, შარახევიდან, თვალივიდან, მიგრიაულიდან, ფშავისა და ხევსურეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩარგალისაკენ დილიდანვე იწყო დენა ხალხმა.

ვაჟას გარდაცვალების 25 წლისთავზე მოდიოდნენ მისი სამშობლო სოფლისაკენ მშრომელნი—მუშა-მოსამსახურეები კოლმეურნეები, მოწაფეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა პატივი ეცათ დიდი პოეტის ხსოვნისათვის, ენახათ მისი სახლი, კარ-მიდამო.

ვაჟას სახლის ეზოში, კაკლის ხისქვეშ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ არიან ვაჟას მეუღლე თამარი, ვაჟას შვილები—თამარ და ვახტანგი, ვაჟას ძმისწული, პოეტ ბაჩანას შვილი პავლე რაზიკაშვილი, ვაჟას სხვა ძმისწულები, შვილიშვილები. დუშეთიდან მოვიდნენ: საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნები ამხ. გ. მიხანაშვილი და ამხ. ს. რუხაშვილი, სარაიონო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. პაპაშვილი, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მუშაკები; აქ არიან გაზ. „კომუნისტის" რედაქტორი ამხ. ვ. ხატიაშვილი, პროფ. ს. ჯანაშია. პროფ. ა. ჩიქობავა, პოეტები და მწერლები ი. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, ნიკ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ა. ქუთათელი, შ. აფხაიძე, ვ. წულუკიძე. მიტინგზე მოვიდნენ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები და მოწაფეები.

აქვე არიან ჩარგლელები ბეკური ბაჩიაშვილი, ალექსი ზურაბაშვილი, პავლე ტუქსიაშვილი, ნინო ბაჩიაშვილი, კატო ბეკუკიშვილი, რომლებიც პირადად იცნობდნენ ვაჟას, ბევრჯერ უსაუბრიათ მასთან, მოუსმენიათ მისი მამობრივი დარიგება.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი იხსნება ასწლოვანი კაკლის ხის ქვეშ. შესავალ სიტყვას ამბობს ამხ. გ. მიხანაშვილი.

სიტყვას საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით ამბობს ი. აბაშიძე.

— ვაჟა ნამდვილი შვილია ბუნებისა, შვილი კავკასიონის გოლიათი მთებისა და მან გოლიათური ნაბიჯით შეაბიჯა ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია ეს ლამაზი მთები, ვინაიდან მათს წიაღში დაიბადა და დავაჟკაცდა შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე ვაჟა.

ვაჟა ძვირფასია ჩვენთვის იმით, რომ მის შემოქმედებაში მოსჩანს ქართველი ხალხის საუკეთესო მისწრაფებანი. მისი პოემები, ლექსები ამხნევებდა ქართველ ხალხს, მოუწოდებდა ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის ძალადობის დასამხობად, უჩვენებდა ხალხს ნამდვილ გმირებს, ვაჟას გმირები მთის შვილები არიან, ვაჟკაცნი, სულით მტკიცენი.

ვაჟას ნატვრა ასრულდა. მსოფლიოს მოევლინა გმირი, რომელმაც დაამსხვრია მონობის ბორკილები და სსრ კავშირის ხალხებს მოუპოვა ბედნიერი, მზიური, სასიხარულო ცხოვრება. ეს გმირია დიდი **სტალინი**, რომელიც კაცობრიობას მისცა გმირულმა ქართველმა ხალხმა.

სიტყვა ეძლევა პროფ. ს. ჯანაშიას. იგი ამბობს:

— ჩვენ მოვედით აქ, რათა პატივი ვცეთ ამ პატარა სახლს და ვაჟას იმ დიდ აჩრდილს, რომელიც ამ სახლთან სამუდამოდ დაკავშირებულია. ჩვენ ვალდებულნი ვართ გავუფრთხილდეთ ამ შესანიშნავ ძეგლს, რომლის სანახავად მრავალი ათასი ადამიანი მოვა აქ—ჩარგალში. ქართველმა ხალხმა წარმოშვა ვაჟა, რომლის შემოქმედება თამამად დაამშვენებს ყველა დიდი ხალხის ლიტერატურას.

ვაჟას უყვარდა თავისი ხალხი, სამშობლო, ისწრაფვოდა ენახა სამშობლო თავისუფალი, აყვავებული. ეს მისი ოცნება განხორციელდა დიდი **სტალინის** გენიით, დიდი სტალინისა, რომლის სახელი ახლობელი და ძვირფასია ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

დუშეთის რაიონული გაზეთის „სტალინური გზით"-ის რედაქტორი ამხ. ნ. ხეთაგური ლაპარაკობს ფშავ-ხევსურეთის კულტურულ წინსვლაზე, ახალ სკოლებზე, გზაზე, კოლმეურნეობებზე, რომლებიც სულ მალე შესცვლიან ფშავ-ხევსურეთის სახეს.

პოეტმა ი. მოსაშვილმა წაიკითხა ვაჟასადმი მიძღვნილი თავისი ლექსი „მოგონება" და ნაწყვეტი პოემიდან „გზა მწვერვალისაკენ"; პოეტმა კ. კალაძემ—ვაჟას ლექსი „ჩივილი ხმლისა".

ვაჟას ძმისწულმა, ბაჩანას შვილმა — პავლე რაზიკაშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი მიძღვნილი ბიძისადმი.

სოფელ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ივანე ბაიაშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი მიძღვნილი ვაჟასადმი.

საკუთარი ლექსით „ვაჟავ, გაფასებს სამშობლო" გამოვიდა მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ხუცურაული.

და, ბოლოს, გამოდის ვაჟას შვილი — ვახტანგი. იგი თავისი მამის ხსოვნას მიმართავს საკუთარი ლექსით, რომლის წაკითხვა იწვევს დამსწრეთა აღტაცებას.

მიტინგი დამთავრებულია. გაისმის ტაში დიდი **სტალინის** პატივსაცემად, სოციალიზმის დიადი ქვეყნის პატივსაცემად, რომლის მრავალერიანი ხალხები წმინდად ინახავენ გულში მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების — შოთა რუსთაველის, პუშკინის, ტარას შევჩენკოს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ხსოვნას, იმ ოსტატებისა, რომელთა შემოქმედება სტალინურ ეპოქაში გახდა სსრ კავშირის ხალხთა კუთვნილებად.

გ. გურჯიძე.

ვაჟას*

ცას მოეფინა ვარსკვლავნი,
ღრუბელთ გაწიეს ნამია,
ალაზანსავით შემოხდა
კლდეებზე ჩარგლის მთვარია;
გოგოთურსავით მთები დგას,
მთას—მინდიაის ღამია —
გხედავდი:—უკრავ ჩონგურსა
და ზედ იმღერი ლექსებსა,
იმღერი ქვეყნის სასმენად
ერთურთზე უკეთესებსა.
კაის ყმის ლექსი სხვაც ბევრი,
გულზე მომდები ცეცხლისა,
სიტყვა გაქვ ოქროდ ნაწური,
თქმა—უმძიმესი ვერცხლისა;
შენი ნათქვამი შაირი
ფხაშეუშლელი ხმალია,
სამშობლოს კართან ნაქნევი,
მთით ნაძახები ზარია.
შენმა გრძნობათა ნაეურმა
ბევრჯელ აცრემლა თვალია,
შვლის ნუკრი როცა დიკითხე,
ბალღ ვიყავ უმეცარია —
მამედვა ქიჩირივითა
საკირის ცეცხლის ალით.
გმირებად ზრდიდა ქართველთა
შენი გმირების ჯარია,
„ათას ცოცხალსა ბევრჯელა
ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია!"
ამბობდი ერთ დროს ჭაბუკი,
დიდო მგოსანო ვაჟაო,
მარად სიცოცხლის ფას სიკვდილს
დე, გაუმარჯოს, ვაშაო!
თუ მზის თვალები დადგება
და სხივს არ მომაყრიანო,
რაც ქვეყანაზე მიწაა
სულამც მე მომეყრიანო...
მთაწმინდა კალთას გაფარებს —
დიდი სამშობლოს მთაბარი
გულს რო გადასწვდეს, შენს გულს
იმდენი მიწა სად არი?
სახელი მოამაგისა
მოგიხვეჭავის ქვეყნადა —
დარჩები, როგორც მთის ბურჯი
საქართველოსთან ერთადა.
შენი ნათქვამი სიტყვები
ძელებად უწყვავ კერასა
ასმევდი უკვდავებასა
ჯიხვის რქით ქართულ ენასა:
— მოგესალმება არაგვი
კლდიდან კლდეებზე ხახალი,
დეკიან-ღვიაიანი
შენი ლამაზი ჩარგალი,
ცხოვრება სასიხარულო,
სამური და ახალი!

ვახტანგი რაზიკაშვილი.

---

*) ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას შვილმა ვახტანგმა წაიკითხა ჩარგალში 11 აგვისტოს გამართულ მიტინგზე — **რედ.**

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

დღეს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ამხ. ცაგარეიშვილის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეთავსება სოციალიზმის დროს".

დღეს, საღამოს 8 საათზე შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

გასწორება

„კომუნისტის" 10 აგვისტოს ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ — მე-2 მუხლი უნდა იკითხებოდეს ასე: „ჩატარებულ იქნას, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-34 და მე-35 მუხლების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის და **დამკვრელი** (ზაფხულისა და ზამთრის) — „ყოველდღიურობა"; **ოქტომბერი** — „ოქროს ტბა"; **კომკავშირელი** — (ზაფხულის) „მხიარული ახალგაზრდობა"; (ზამთრის)— „დიდი ცხოვრება"; **სპარტაკი** — „წითელი ეშმაკუნები"; **ლუქსემბურგის** სახელობის — „ზეცაში"; **26 კომისრის** სახელობის (ზაფხულის) — „ყუბანელები"; (ზამთრის) — „ელისო"; **კომინტერნის** — „ჩემი სიყვარული"; **ს. ორჯონიკიძის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — „დედაკაცნი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. ჯანსახკომის ქ. თბილისის მეორე საფერშლო სკოლაში
1940-41 სასწავლო წლისათვის
მოწაფეთა მიღების პირობები

1. სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს ფერშლის წოდების მინიჭებით, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი.
2. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის პირნი ასაკით 15-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ საერთო განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის შვიდი კლასისა.
3. განცხადებას უნდა დაერთოს: ა) არასრული საშ. სკოლის დამთავრების მოწმობა (უსათუოდ დედანი), ბ) ცნობა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებებიდან ჯანმრთელობის შესახებ, გ) მეტრიკული ამონაწერი, დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული უქუდოდ, შემსვლელის მიერ ხელმოწერილი და სახელმწიფო დაწესებულების მიერ შემოწმებული, ე) საბუთი სამხედრო ვალდებულებას ან დამოკიდებულების შესახებ.
4. ძისაღები პირები, აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკა (არითმეტიკა—წერა და ზეპირი, ალგებრა—წერა და ზეპირი, გეომეტრია), ბ) ფიზიკა, გ) გეოგრაფია, დ) ქართული ენა (წერა და ზეპირი), ე) პოლიტცოდნა.
შენიშვნა: უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლადამთავრებული ფრიადოსნები, სრული საშუალო სკოლის 9-წლედის და მუშფაკის კურსდამთავრებულნი.
5. გამოცდები იწარმოებს 19-დან 27 აგვისტომდე.
6. სტიპენდია საერთო წესით. შემსვლელი ვალდებულია პასპორტი იქონიოს თან.
7. საბუთების მიღება სწარმოებს სკოლის დირექციაში ყოველდღე სამი საათიდან 11 საათამდე.
8. სწავლა განახლდება პირველ სექტემბერს.
მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 51.
მეორე საფერშლო სკოლის დირექცია.
295

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატს
ესაჭიროება
სართავ, სახვევ, ბანკაბროშ მანქანებზე
მომუშავე ქალები და დამხმარე მუშები

არაკვალიფიციური მუშები გაივლიან ერთთვიან მომზადებას, რომლის დროსაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

საერთო საცხოვრებელი მიეცემათ მუშებს, რომლებსაც ბინა არა აქვთ.

კადრების მომზადების განყოფილება
აწარმოებს კატტონის და სახეჩ მანქანების შემკეთებლების კურსებზე მიღებას.

მიღებულები სასწავლებლად გაიგზავნებიან ქ. ლენინგრადში და უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ თბილისი, ღრმაღელე, სატრიკოტაჟო კომბინატი, კადრების მომზადების განყოფილება.

ტელეფონი № 3—21—02. ტრამვაი № 6 და 11.
2—2 1092 დირექცია.

თბილისის ფ. მახარაძის სახელობის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი აცხადებს
სტუდენტების მიღებას 1940—41 სასწავლო წლისათვის
ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი: ქართული და რუსული

განცხადების მიღება იწარმოებს 20 აგვისტომდე.
გამოცდების დასაწყისი 16 აგვისტო.
სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით (70 თიდან) და საცხოვრებელი ბინით საჭიროების მიხედვით.
სწავლის დასაწყისი 1 სექტემბერი,
ცნობების გაცემა და განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან 18 საათამდე. გარდა გამოსასვლელი დღეებისა.
მისამართი: თბილისი, ვაკე, მარის ქუჩა № 27. ტელ. 3—20—88.
1104 დირექცია.

საქ. სსრ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის
სასწავლო-საწარმოო კომბინატი
საქართველოს სასწავლო-სააღრიცხვო ეკონომიური კომბინატის
თბილისის ფილიალთან ხელშეკრულების საფუძველზე
აწარმოებს პენსიონერთა და ინვალიდთა
მიღება-გადამზადებას შემდეგ კურსებზე:

მოანგარიშეების,
სტატისტიკოსების,
ბუხჰალტრების,

აგრეთვე კომბინატი ღებულობს მოწაფეებს ფეხსაცმლის, ღილების, ქიმიურ, მინის, სააბჯო, აბრეშუმსაქსოვ-საგრეხი, სატრიკოტაჟო, ტექსტილის და სამხატვრო წარმოებებში.

მეცადინეობა სწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე.

კურსებზე მიღებული პენსიონერები და ინვალიდები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. სასწავლო ხელსაწყოებით და კულტმოსამსახურებით.

ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სსრ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატში—მაჩაბლის ქ. № 2 დილის 9 საათიდან საღამოს 5-მდე.

ტელეფონი № 3—43—00
საქ. სსრ სოც. უზრ. სახკომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატის
1087 დირექცია.

ბათუმის საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმში
გრძელდება განცხადებების მიღება

ახლად მიღებულნი უკლებლივ უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, სტიპენდიით და მიმაგრებულ იქნებიან იაფფასიან სასადილოზე. ტექნიკუმი გადავიდა ახალ ბინაზე—გორკის ქ. № 19 (გორკისა და მარქსის ქ. კუთხე)
104 ტექნიკუმის დირექტორი ი. ჭილაძე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრის დირექცია
თეატრის მსახიობთა საყურადღებოდ აცხადებს,
რომ მომავალი 1940/41 წლ. თეატრალური სეზონის მუშაობა დაიწყება ა. წ. 15 აგვისტოს დილის 11 საათზე.
107

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების
ცენტრალური პარკი
13 — 14 — 15 — 16 აგვისტოს
უდიდესი საცირკო ატრაქციონის
4 დონემანის 4
გასტროლების გაგრძელება. (სალტო მოტოციკლზე)

ექიმი
მძინარიშვილი
გაემგზავრა ბორჯომში
ავადმყოფების მიღება 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე. დილით 10—12 საათ. და საღამოთი 7—9 საათ, ორჯონიკიძის ქ. № 8 სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა) კანის ავადმყოფობა. 10—3 6964

მშობლები ლენა, მიშა, და ლიანა, ბებიები და ბაბუები ვექილი, ოლია, მელიტონ, ანდრო, გამზრდელები ნინიკა, ლოლა იუწყებიან პატარა
ნინელ ჭაჭიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ხობში 13/VIII. 7463

მშობლები მართა, პლატონ, ძმები შოთა და სერგო, რძალი შუტუნა, ძმისწულები ჯონიკა და ნანი იუწყებიან, რომ 18/VIII დანიშნულია
გერმანე პლატონის-ძე ცინცაძის
პანაშვიდი, ქ. ლანჩხუთში, ენგელსის, 20. 7464

ფილიმონ და ვლადიმერი ბლუაშვილები ოჯახით იუწყებიან
ოლია ბლუაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/VIII, სამტრედიაში, კიროვის ქ. 126. 7467

საქ. სსრ შინსახკომის ქუთაისის საქალაქო განყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ ამავე განყოფილების უფროსს ამხ. კონსტანტინე ქადაგიშვილს მისი მეუღლის
თამარის
გარდაცვალების გამო. 50

საქ. სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის
მარო ლომინაძის
გარდაცვალებას. 7453

ბიძა მიხეილ, ცოლი ანიკო შვილებით: ნინო, შალიკო, რძალი ეუნია მუჩაიძეები იუწყებიან
თამარ ლევანის-ასულ ქადაგიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7½ ს. გამოსვენება 15/VIII 6 ს. კრილოვის, 10. 7461 (1)

მეუღლე თინა, მშობლები ნოე და სონია, და თამარ, ძმები: არჩილ და ტოშია, რძალი მარგალიტა და ძმისწულები იუწყებიან, რომ 13/VIII, ქუთაისში დანიშნულია
ვალოდია ნოეს-ძე გიორგაძის
პანაშვიდი. 7459

მშობლები: ილიკო და ევა, ბიცოლა მარო, ბიძაშვილები: ნინო, მარო, ქსენია, ალექსანდრა, ლოლა, ელენე, ვლადიმერ, გაბრიელ იუწყებიან
გერონტი თალაკვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VIII ს. ასკანაში. 7455

მშობლები პლატონ და ვერა, ძმები შიო, სიმონი და ვახტანგ იუწყებიან
ლუარსაბ პლატონის-ძე კახაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დიდჯიხაიშში, 17/VIII. 7457

ქმარი კოტე, შვილი რეზიკო, დედა რახიელ, მამინაცვალი ამბროსი იუწყებიან
თამარ ლევანის-ასულ ქადაგიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7½ ს. გამოსვენება 15/VIII 6 ს. კრილოვის 10, კუკიის სასაფლაოზე. 7460

ბიძაშვილი ირაკლი მეუღლე ანიკოთი, ბიძა ვანო მეუღლე თეკლეთი, მგალობლიშვილები მწუხარებით იუწყებიან
თამარ ლევანის-ასულ ქადაგიშვილის
გარდაცვალებას. 7462

დედამთილი ელენე, მამამთილი ილია, მაზლები შალვა, შოთა, მულები მარო, თამარ ქადაგიშვილები სიძეები ცერცვაძე და ჯაფარიძე იუწყებიან
თამარ ლევანის-ასულ ქადაგიშვილის
გარდაცვალებას. 7461(2)

შვილი ვარვარა, შვილიშვილები ვანო, ეთერ, შოთა და რუსუდან მწუხარებით იუწყებიან
ალექსი ივანეს-ძე ჯოლბორდის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/VIII სოფელ ძევერაში (გორის რაიონი).

ვრიშა და ზინა ხარსიები იუწყებიან კოტე ქადაგიშვილის მეუღლის
თამარ ლევანის-ასულ ქადაგიშვილის
გარდაცვალებას.

მშობლები: ელისაბედ და ნიკოლოზ ასპისოვები, დები ზინა და ელენე, ძმა პეტრე იუწყებიან
ხერიოჟას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/VIII 8 ს. ურისის ქ. 15. გამოსვენება 14/VIII 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 7458

დები ანასტასია ნამგლაძე, ბაბო აბაზაძე, შვილებით. დისწულები: კატო ჩითაშვილი შვილით ნ. ავალიშვილი იუწყებიან
ელისაბედ მოზდოკელის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/VIII 8 ს. გამოსვენება 14/VIII 6½ ს. კოლხიდის ქ., 40, ვაკის სასაფლაოზე. 7454

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომუშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1493